გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 2
(11 970)

13 – 16 იანვარი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

«შავი პრინცი»

ხმა და სურათი წარსულიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969 წლის 14 ივლისს ქუთაისში, სასტუმრო „ქუთაისის" ერთ-ერთ ნომერში ავტოგრაფისათვის ვესტუმრე მოსკოვის ტორპედოელ ვალერი ვორონინს. ავტოგრაფის აღების შემდეგ მისივე თხოვნით ნომერში დიდხანს დავრჩი (ნომერში **ვ. გულიამზაიდაროვთან** ერთად იყო). გულახდილი საუბრისათვის ინტერვიუს სახე არ მიმიცია (ახლა ამას ნამდვილად ვნანობ). ჩემს შეკითხვაზე, თუ ვის თვლის იგი იდეალად, იდეალურ ნახევარმცველად, იდეალურ დისპეტჩერად, **ვალერი ვორონინმა** მიპასუხა:

- ჩვენთან **იგორ ნეტო,** საზღვარგარეთ - ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა - დიდი.

გავიდა წლები.. უფრო ზუსტად, 19 წლის შემდეგ, 1988 წლის ზაფხულში, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის პირველობის ერთ-ერთ კალენდარულ შეხვედრას დავესწარი. მეგობარი ჟურნალისტის დახმარებით ლუჟნიკების პრესის ლოჟაში აღმოვჩნდი. როდესაც მატჩი დამთავრდა და სტადიონიდან გარეთ გამოვდიოდით, გასასვლელში წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელები იგორ ნეტო, **ნიკიტა სიმონიანი** და **მიხეილ გერშკოვიჩი** იდგნენ. მეგობარმა ჩემი თავი წარუდგინა. მოსაუბრეებს ჩვენც შევუერთდით. ფეხით გავიარეთ. ორი თუ სამი შეკითხვა მივეცი მაშინ იგორ ნეტოს. მათ შორის:

- ვის თვლით თქვენს ამპლუაში უძლიერესად?

მისი პასუხი ამჯერადაც ლაკონური იყო: - დიდის.

* * *

მისი სრული, ნამდვილი სახელი და გვარია **ვალდირ პერეირა.** შერქმეული სახელი - დიდი. მას აგრეთვე „შავ პრინცს" უწოდებდნენ - მწვანე მინდორზე და მის ფარგლებს გარეთ წარმოსადეგი, ამაყი და ჭეშმარიტად მეფური შესახედაობისა და მოქმედების გამო.

იხ. მე-3 გვ.

სოლიდური სპონსორი

ძიუდომ და „ცენტრ პოინტი ჯგუფმა" ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

დიდი ხანი არ გასულა, რაც საგარეჯოს ძიუდოს უმშვენიერეს დარბაზში ხელი მოეწერა თანამშრომლობას საქართველოს ძიუდოს ფედერაციასა და „ავსტრიის ავიახაზებს" შორის. ცხადია, თანამშრომლობა ავსტრიელთა მხრიდან სპონსორობას გულისხმობს, რაც ჩვენი ძიუდოისტების საჰაერო გადაადგილებას შეღავათით უზრუნველყოფს.

ძიუდოს ეროვნული ფედერაცია სპონსორთა ძიებას განაგრძობს და აგერ, ამ დღეებში, „ავსტრიის ავიახაზებს", „კოკა-კოლას", „ჯეოსელს" და რამდენიმე ქართულ ბანკს ახალი სპონსორი მიემატა ძიუდოისტებისადმი თანადგომის სურვილი ცნობილმა სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტი ჯგუფის" ხელმძღვანელობამ გამოთქვა.

ჯერჯერობით ერთი წლის ვადით გაფორმდა შეთანხმება, რომელიც მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამასთან, მომავალში ივარაუდება მატერიალური დახმარების გაზრდა, სპორტული ბაზების მშენებლობაში მონაწილეობა, ხოლო თუ პეკინში რომელიმე ჩვენი ოლიმპიელი გაიმარჯვებს, ეს სამშენებლო ფირმა დაასაჩუქრებს ბინით.

ხელშეკრულებას „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დამფუძნებულმა მაია რჩეულიშვილმა და ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა შენგელი ფიცხელაურმა მოაწერეს ხელი.

„სპორტი ქუჩის მავნე ზეგავლენისგან და ნარკომანიისგან მოზარდთა ხსნის საუკეთესო საშუალებაა. ძიუდოს ფედერაციასთან თანამშრომლობა ადრეც გვსურდა, მაგრამ ახლა პროცესი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა დააჩქარა", - თქვა მაია რჩეულიშვილმა.

14 მედალი ქალთა ძიუდოს

რაც დრო გადის, ქალთა ძიუდო არნახულად იკრებს ძალას და იზრდება მისი პოპულარობა. საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრები რომ აღმავლობის გზაზეა შემდგარი ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა აზერბაიჯანში, კერძოდ, ქ. ბაქოში გამართულმა ამ ქვეყნის ღია პირველობამ.

ჩვენი ნაკრები 2 იანვარს გაემგზავრა ბაქოში შეკრებაზე მთავარი მწვრთნელის **გოდერძი ველიჯანაშვილის** ხელმძღვანელობით. აზერბაიჯანის ღია პირველობა სწორედ ბაქოში მათი ყოფნის პერიოდს დაემთხვა და ქართველებმა დიდი სიამოვნებით მიიღეს აზერბაიჯანელი მეგობრების შეთავაზება მიეღოთ მონაწილეობა ამ ასპარეზობაში. დავძენთ, რომ ეს შეჯიბრება შეტანილია ძიუდოს ევროპის კალენდარში და ამდენად, მისდამი ინტერესიც გასაგებია.

საქართველოს და აზერბაიჯანის ძიუდოისტთა გარდა, შეჯიბრებაში ყაზახეთის, უზბეკეთის და დაღესტნის გუნდები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ შედეგიანად იასპარეზა, სხვადასხვა წონით კატეგორიაში ჩვენებმა ოქროს -3, ვერცხლის-5, ბრინჯაოს-6 მედალი დაისაკუთრეს და არც გუნდური პირველობა დაუთმეს მეტოქეებს. ეს მაშინ, როცა ქართველი გოგონები თავისზე უფროსებს ეპაექრებოდნენ.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 44 კგ. - გულინა თინიკაშვილი; **57 კგ**-მაია ტარუაშვილი; **70 კგ** - ინგა ალანია; II ადგილი: **40 კგ** - დარინა აბულაძე; **52 კგ** - ნაია ვეშაგური; **57 კგ** - თეონა კობახიძე; **63 კგ** - მარიამ დიასამიძე. III ადგილი: **40 კგ** - თინათინ ქლესაშვილი და თეა გავაშელი; **48 კგ** - ელენე დუგლაშვილი და ლანა ბადრიაშვილი; **52 კგ** - თეა ხაბაზიშვილი; **57 კგ** - დიანა ნანიევა; **70 კგ.** — სალომე წოწკოლაური.

საქართველოს ნაკრების ძიუდოისტები ბოლნისის გამგეობასთან არსებული სპორტკლუბ „ნიკეს" წევრები არიან და რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით სეზონის პირველივე შეჯიბრში, როგორც ხედავთ, სოლიდური შედეგი აჩვენეს.

ნაკრები ბაქოში კიდევ რამდენიმე დღე დარჩება და შემდეგ კიევში გაემგზავრება საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ. ტურნირი 20-21 იანვარს გაიმართება. ჩვენი ნაკრები ასევე მზადებას იწყებს მსოფლიო თასისათვის, რომელიც 4-5 თებერვალს, თბილისის ვაჟთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის პარალელურად ბაქოში გაიმართება.

ელენე კეჩხოშვილი.

დაფუძნდა სპორტული რადიო

ცნობილი ქართველი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის **კოტე მახარაძის** სიცოცხლეში აუხდენელ ოცნებას მისმა მეგობარმა და კოლეგამ **ჯამლეტ ხუხაშვილმა** შეასხა ხორცი და სპორტული რადიო „ჯაკო" (ჯამლეტი და კოტე) დააფუძნა.

რადიო „ჯაკოს" გენერალური დირექტორი ჯამლეტ ხუხაშვილია, პროგრამების დირექტორი და წამყვანია ჟურნალისტი ალექ ლექვავა. რადიოს პრეზენტაცია 15 იანვარს, 17 საათზე დაიწყება თბილისის სპორტის სასახლეში, ხოლო 16 იანვარს, დილის 9 საათიდან სპორტული რადიო „ჯაკო" FM 96.3 დიაპაზონზე დაიწყებს მაუწყებლობას. საწყის თვეებში რადიო ღამის პირველ საათამდე იმუშავებს, მერე კი ოცდაოთხსაათიან მაუწყებლობაზე გადავა.

სპორტული რადიო
ჯა — კო
JA — KO
FM
96.3

აღსანიშნავია, რომ ასეთი ერთპროფილიანი, უშუალოდ სპორტული რადიო საქართველოში პირველად დაფუძნდა.

ძველბერძნული ოლიმპიური თამაშები



„ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე" — პირობითად ასე შეიძლება დაერქვას ქართულ ენაზე გამოსაცემად გამზადებულ წიგნს, რომლის ავტორია საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი, დაარსებიდან სეოკ-ის პასუხისმგებელი მუშაკი, დღეს ამ კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი, ქართული სპორტის ვეტერანი მოღვაწე დავით კინწურაშვილი. „ლელო" დღეიდან იწყებს ზემოხსენებული ნაშრომის პუბლიკაციას. რაღა თქმა უნდა, წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ისტორია, ზაფხულის თამაშებში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობა და წარმატებები ოლიმპიურ სარბიელზე.

იხ. მე-2 გვ.

რა გაკეთდება 2006 წელს...

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება 2006 წლის იქნება „სპორტის ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეაბილიტაციის პროგრამის" პრაქტიკული ხორცშესხმა.

პროგრამა ითვალისწინებს:

◆ საქართველოს პრეზიდენტის სრული მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში 200 კომბინირებული სპორტული მოედნის (41 უკვე გაშენდა ქვეყნის რაიონებში), მინიფეხბურთის 10 ხელოვნურსაფარიანი მოედნის, 22 კომპლექსური სპორტული ნაგებობისა და ძალოსნობის დარბაზების აღდგენა-მშენებლობას;

◆ დუშეთის რაიონში ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობას, სადაც შესაძლებელი გახდება საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდების მომზადება 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის;

◆ ეკონომიკის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით უმოკლეს ვადაში შესაძლებელი გახდება უკანონოდ გასხვისებული, პროფილშეცვლილი ყველა სპორტული შენობა-ნაგებობის კვლავ სპორტისთვის დაბრუნება;

◆ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტიტულოვანი სპორტსმენებისა და სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკების დაფასებასა და მატერიალურ მხარდაჭერას სახელმწიფოსგან, რასაც ითვალისწინებს „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის დამსახურებულ მუშაკთა სახელმწიფო დახმარების მიზნობრივი პროგრამა";

◆ „სპორტის ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეაბილიტაციის პროგრამით" საქართველოს რეგიონებში გაგრძელდება სპორტული ობიექტების აღდგენა და ახლის მშენებლობა.



სურათზე: ბათუმის სპორტული კომპლექსის მაკეტი.

სასტარტო წელი - 2005!

ქართული სპორტი
საქართველოს სპორტის დეპარტამენტი
2005

იდეა, გამოცემულიყო ქართული სპორტის ყოველწლიური ალმანახი, რაც თავისთავად იქცეოდა მატიანედ, არაერთხელ წამოწეულა დღის წესრიგში, მაგრამ ადრე ეს ვერ ხერხდებოდა. ახლა, ისევე, როგორც არაერთ სასიკეთო საქმეს, სპორტის დეპარტამენტის და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ბოლო ხანებში დამკვიდრებულმა ურთიერთთანამშრომლობამ შეუქმნა რეალური საფუძველი ამ მეტად საჭირო იდეის ხორცშესხმას.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ (პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**) შარშან, მოუცლელობის მიუხედავად (მოუცლელობისა იმიტომ, რომ მრავალწლიანი და შრომატევადი ქართული სპორტული ენციკლოპედიის გამოცემის პროცესი მთავრდებოდა), ითავა ზემოხსენებული ალმანახის გამოცემა. სარედაქციო კოლეგიას საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** ჩაუდგა სათავეში (წევრები - **გია გალდავა, ედიშერ მაჩაიძე, ირაკლი სამყურაშვილი**). საგამომცემლო ჯგუფმა კი თავდადებით იმუშავა და ჩვენმა საზოგადოებრიობამ, რომლის ყველა ფენისთვის განუზომლად დიდია ინტერესი ქართული სპორტისადმი, მართლაც რომ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო.

„შესანიშნავს" რომ ვამბობთ, ყველაფერს ვგულისხმობთ: გამოცემის შინაარსსაც, რაც ჟურნალისტური ძიების სამაგალითო შედეგია, დიზაინსაც, ფორმატსაც, არქიტექტონიკასაც, ბეჭდვის ხარისხსაც... პუბლიკაციების ანალიზს არ შევუდგებით. ანოტაციის მოცულობა, ამას უბრალოდ, ვერ დაიტევს, ყველამ თავად უნდა აიღოს ეს გამოცემა ხელში, ჩაუჯდეს და წაიკითხოს, მერე თაროზე კი არ შემოდოს, არამედ მაგიდაზე დადოს, რადგან ეს სწორედ ისაა, რასაც სამაგიდო წიგნი ჰქვია. სამაგიდო იმიტომ, რომ ქართული სპორტის მატიანეა, ხშირ-ხშირად თვალშესავლები და აუცილებელი სახელმძღვანელო, განსაკუთრებით სპორტის მუშაკებისთვის, სპორტული ჟურნალისტებისთვისა და ქართული სპორტის ქომაგებისთვის.

მაშ ასე, მატიანე იწერება, ქართული სპორტის ყოველწლიური შედეგების ათვლა დაიწყო, სასტარტო წელი - 2005!

გუშინ ძმებმა ცაგურიებმა და ჯულელმა მოიგეს

იანვრის ბაშოზე პირველი მარცხისა და შემდეგ სუმოს ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ ოსტატთან გამარჯვების შემდეგ, **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მესამე შერკინებაში ნაკლებად ცნობილ მეტოქესთან, დასავლეთის მეხუთე მაეგაშირასთან, **კასუგანიშიკთან** იწვნია მოულოდნელი მარცხი. მეოთხე ორთაბრძოლაში კი ჩვენებურმა ისევ გაიბრწყინა და დასავლეთის პირველი ოძეკი, სახელგანთქმული **კაიო** დაამარცხა. გუშინ მეხუთე პაექრობაში კოკაის პირისპირ მისივე მეგობარი, დასავლეთის მეორე ოძეკი **კოტოოშუ** დადგა. ამ სუმისტს წინა ოთხიდან სამი შეხვედრა ჰქონდა მოგებული. დავძენთ, რომ გუშინდელ დაპირისპირებამდე ბულგარელი და ქართველი დოჰიოზე ხუთჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს. ცაგურიამ მხოლოდ პირველი პაექრობა მოიგო შარშან, მარტში, შემდეგ კი ოთხი შერკინება წააგო ერთმანეთის მიყოლებით. და აი, მეექვსე შებრძოლება წარმატებული გამოდგა ჩვენებურისათვის.

ლევანის ძმამ **გიორგი ცაგურიამ (ცუკასაუმი)** გუშინდლამდე დაბალ დივიზიონში ორი მოგება ჰქონდა ამდენივე შეხვედრიდან, გუშინ კი მესამე გამარჯვებას მიაღწია,

საწყის დივიზიონში ორიდან ორი მოგების შემდეგ გუშინ კიდევ ერთი წარმატება მიითვალა **თეიმურაზ ჯულელმა.**

გაზეთის დაბეჭდვამდე:

ამოროზო „მილანში" ითამაშებს

იტალიურმა საფეხბურთო კლუბ „მილანის" ხელმძღვანელობამ კრისტიან ვიერის შემცვლელი მოძებნა. ამიერიდან კარლო ანჩელოტის გუნდის ღირსებას დაიცავს ბრაზილიელი მარსიო ამოროზო. აქამდე ეს ფეხბურთელი თავის დროზე თამაშობდა ბრაზილიურ კლუბებში „გუარანსა" და „ფლამენგოში", აგრეთვე იაპონურ „კავასაკი ვერდიში", ამის შემდეგ „უდინეზეში" (იტალია) გადავიდა და 1998-99 წლების სეზონში სერია „ა"-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამოროზო ჯერ „პალერმოში" მიიწვიეს, შემდეგ გერმანულ „დორტმუნდში".

შეკითხვა „ლელოს"

?

შეკითხვა: გაგვიგია, რომ ახალგაზრდებს შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებში გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის დადგენილია ფულადი პრემია, რამდენად სწორია ეს ინფორმაცია და თუ სწორია, რა რაოდენობის თანხაა განკუთვნილი მათთვის?

**ზეზვა გაბოძე, გია ესართია, რატი ფანჩულიძე
რუსთავი.**

პასუხი: დიახ, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის №650 განკარგულებით, იმ სპორტსმენთა ჩამონათვალში, რომლებიც ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებში წარმატებისთვის ლაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით, მოხსენიებულნი არიან ახალგაზრდებიც. ევროპის ჩემპიონატებში მაღალი მიღწევებისთვის ჯილდო ასეა განსაზღვრული:

I ადგილი (პირადი, გუნდური) — 2.000; გუნდური სახეობები — 4.000
II ადგილი (პირადი, გუნდური) — 1000; გუნდური სახეობები — 2.000
III ადგილი (პირადი, გუნდური) — 500; გუნდური სახეობები — 1.000.

მწვრთნელებს და მთავარ მწვრთნელებს (ნაკრებისას) მიეცემათ პრემიალური თანხის 25 პროცენტი.

ქართული სპორტის გვარდიელები

თენგიზ კოშკაძე

დღეს მისი დაბადების დღეა — 19 წელი შეუსრულდა. ბატუტზე ხტომაში ახლა ის ეროვნული ნაკრების გამოკვეთილი ლიდერია და, როგორც იტყვიან, სპორტული სიმწიფის ზენიტშია. შარშან თენგიზი ჯერ დობროვოლსკის თასის („ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირია) ფინალისტი გახდა, შემდეგ კი მსოფლიო თასის ფინალში იასპარეზა. შარშანწინ, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთა შორის მოხვდა.

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის **ზაურ სულაშვილის** ხელმძღვანელობით, ამ ნიჭიერი ახალგაზრდის აღმასვლა 2000 წლიდან დაიწყო, როცა საერთაშორისო სარბიელზე პირველობა და „გრენლანდის“ თასი მოიპოვა გერმანიაში. იგივე წარმატება მან 2002 წელს გაიმეორა. ხოლო 2001 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გააღწია ახალგაზრდებში. 2002-ში გარდა ზემოხსენებული წარმატებისა, საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირში „კუნძულის თასი“ და პირველობა არავის დაუთმო. იმავე წელს მეოთხე იყო ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატში. 2003 წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობის ფინალისტია, შემდეგ კი პირველ ადგილს იკავებს და „ნისენის“ თასს ეუფლება „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში.

და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია. 2002 წლიდან არის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი.

თენგიზ კოშკაძის დაოსტატებაში ლომის წილი უძევს თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი გიორგი უდესიანი) ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიურ სკოლას (დირექტორი **როზა ბერიკაშვილი**). თენგიზ კოშკაძე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მეორე კურსის სტუდენტიცაა და საფუძვლიანად ეუფლება მომავალ პროფესიას — მწვრთნელის სპეციალობას.

თემურ ლომაიას მემორიალი



თბილისის 147-ე საშუალო სკოლაში ჩატარდა ჭადრაკში ცნობილი მწვრთნელის თემურ ლომაიას მემორიალი. შეჯიბრება მეტად საინტერესო გამოდგა. გაგაცნობთ შედეგებს ასაკის მიხედვით:

8 წლიანები, ბიჭები: 1. ირაკლი კელაპტრიშვილი = 7 (მწვრთნელი მ. ხანთაძე), 2. დავითი მამფორია = 6. (თ. ხანთაძე), 3. სანდრო ურდულაშვილი = 5,5 (დ. გურგენიძე) **გოგონები:** 1. ეკა ურდულაშვილი = 5,5 ქ. (დ. გურგენიძე), 2. ანუკი ჭავჭანიძე = 5 (ზ. ჭკუასელი), 3. მარიამი მაღლაკელიძე = 5 (ვ. ბოჭორაძე)

10 წლიანები, ბიჭები: 1. ირაკლი ბერაძე = 6,5 (გ. გოგიჩაიშვილი), 2. ვეფხია ხუბულავა = 6 (გურგენიძე), 3. ელია ზუმბულიძე = 5,5 (ზ. ჭკუასელი), **გოგონები:** 1. ნანი უნაფქოშვილი = 6 (გ. მაჭარაშვილი, ე. ფარესიშვილი), 2. ნატო იმნაძე = 5 (ვ. ბოჭორაძე, გ. ხომერიკი), 3. ლიკა კობეშავიძე = 5 (ვ. ბოჭორაძე)

12 წლიანები, ბიჭები: 1. ნიკა ვოლკოვი = 6,5 (გ. მაჭარაშვილი), 2. ზურა ჭავახაძე = 5,5 (გ. ხომერიკი), 3. გაგა ბერაძე = 5,5 (გ. გოგიჩაიშვილი) **გოგონები:** 1. ნათია ჭალაბაძე = 4 (ა. ყაშაშვილი), 2. ნანი უნაფქოშვილი = 4 (გ. მაჭარაშვილი, ე. ფარესიშვილი), 3. დეა გოგიშვილი = 4 (ც. კობაიძე)

14 წლიანები, ბიჭები: 1. ირაკლი ჭანიაშვილი = 6 (გ. მაჭარაშვილი), 2. ზურა ჭავახაძე = 5,5 (გ. ხომერიკი), 3. ნიკა ვოლკოვი = 5,5 (გ. მაჭარაშვილი), **გოგონები:** 1. ნათია ჭალაბაძე 4 (ა. ყაშაშვილი), 2. მარი სულამანიძე = 3,5 (ს. კეირიაშვილი), 3. თეონა ჭაში = 3,5 (ც. კობაიძე)

გამარჯვებული ბავშვები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

მოსწავლეთა შედეგების მიხედვით გამოვლინდა ხუთი საუკეთესო მწვრთნელი, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებით:

1. ვახო ბოჭორაძე 50 ქ.
2. ზაზა ჭკუასელი 47
3. გოგი მაჭარაშვილი 42
4. სოსო კეირიაშვილი 41
5. დათო გურგენიძე 38

ტურნირის ორგანიზატორი იყო თბილისის ნ. გაფრინდაშვილის სახ. საჭადრაკო სკოლა (ტურნირის დირექტორი ზაზა ჭკუასელი).

ამაგდარი პედაგოგი 80 წლისაა



საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის კავალერს, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორს, **ოთარ ვაზანიას** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

დაიბადა სოხუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1947 წელს.

შრომითი საქმიანობა ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლისას დაიწყო. პარალელურად მუშაობდა სოხუმის თუჯის ჩამომსხმელ საამქროში, სადაც იმ დროს საომარი იარაღების ნაწილები მზადდებოდა. აქტიური შრომისათვის დაჯილდოვდა მედლით – „1942–1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროს მასწავლებლად, ხოლო 1948 წელს მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით დაარსებული ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგეა, სადაც აფხაზეთის ტრაგედიამდე იმუშავა. ლტოლვილობის პერიოდში მუშაობას აგრძელებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტად, შემდეგ კი, ამავე კათედრის პროფესორად.

1961 წელს დაიცვა დისერტაცია პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „აფხაზეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიის ნარკვევები უძველესი დროიდან 1961 წლამდე“. ეს იყო ამ დარგის ფუნდამენტური გამოკვლევა აფხაზეთის რეგიონისათვის. 1962 წელს არჩეული იქნა დოცენტად. იგი 60 წელია ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ, სამეცნიერო—მეთოდურ, პუბლიცისტურ მოღვაწეობას; სამოცამდე შრომის ავტორია, მათ შორის, ოთხი მონოგრაფიის: „ფიზიკური კულტურა და სპორტი აფხაზეთში“; „აფხაზური ხალხური თამაშები“; „აფხაზეთის ფიზიკური კულტურის ისტორიის ნარკვევები“; „სპორტული აფხაზეთი“, რომლებიც რეკომენდებული იყო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და სპორტის სპეციალისტებისათვის როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. იგი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის სახელმძღვანელო თანაავტორია. მისი შრომები სამაგიდო წიგნებია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

ბატონ ოთარს დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მომზადებასა და დახელოვნების საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა მასწავლებელთა დახელოვნების კურსები და სემინარები. დიდია მისი როლი აფხაზეთის სპორტის განვითარებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდების მეცნიერებად ჩამოყალიბებას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც წარმატებით დაიცვეს თეიმურაზ შუბლაძემ, ავთანდილ წიქრიძემ, ვაჟა სახოკიამ, ზეიად მიქაძემ.

როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თვალსაჩინო სპეციალისტს, ხშირად იწვევდნენ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ბათუმის, ქუთაისის, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. არის საუკეთესო პედაგოგი, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, შესანიშნავი თეორეტიკოსი, მეცნიერი, უკეთილშობილესი ადამიანი. მის ბუნებაში, ხასიათში, შინაგან სამყაროში თავს იყრის ზნემაღალი თვისებები: სიდარბაისლე, თავმდაბლობა, ერთგულება, პრინციპულობა, სითბო, სიკეთე, უდიდესი სიყვარული ადამიანისა. თავისი ქვეყნისა და საქმის დიდი პატრიოტი მუდამ ჩრდილში ყოფნას ირჩევს და თავის საქმეს უხმაუროდ აკეთებს. თითქმის არასოდეს ცდება არც სიტყვით და არც საქციელით, რაზეც მიუთითებს მისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა ახლობლების, მეგობრების, პროფესორ—მასწავლებელთა და სტუდენტთა მხრიდან. როგორც დახვეწილი ინტელიგენტის, მაღალი კულტურის მქონე, ღრმად ადამიანური პიროვნების ყოველი სიტყვა და საქმე სანიმუშო და სამაგალითოა გარშემომყოფთათვის. ის მეგობრადაა დაბადებული. მიუხედავად იმისა, რომ მან სოხუმის დაცემის შემდეგ ოჯახთან ერთად საკენ—ჭუბერის სიკვდილ—სიცოცხლის გზა გამოიარა, თორმეტი წელიწადი თავის ადგილ—მამულზე მეოცნებე, არცთუ დალხინებულ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს და სასოწარკვეთილი არავის უნახავს. პირიქით, მყუდრო, მეგობრული ვითარების შექმნის დიდი ოსტატი, გაუსაძლის ცხოვრებას გვიმსუბუქებს ჩვენ, თავისი გულისხმიერებითა და იმედიანი სიტყვით.

იგი არის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წევრი და ამავე კომიტეტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ—კორესპონდენტი; აფხაზეთის ა.რ. სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის წევრი.

ბატონო ოთარ, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორატი და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრა გილოცავთ 80 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, უშრეტ ენერგიას, დიდხანს სიცოცხლეს!

ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

ბიუჭლი კახიძე, პროფესორი.

ძველბერძნული ოლიმპიური თამაშები

პირველი გვერდიდან

ძველბერძნული ოლიმპიური სპორტის ისტორია ოლიმპიური თამაშების ოფიციალური თარიღის წინა პერიოდის ათასწლეულებს მოიცავს. ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხები, რომლებიც შემდგომში **ელინებად, ბერძნებად** იწოდებოდნენ, კულტურულ მონაპოვრებში — მითები, თქმულებები, ჩანაწერები, ლიტერატურული წყაროები, — მოგვითხრობენ ძველ ბერძენთა ფიზიკური აღზრდის სისტემაზე, სხვადასხვა სახის შეჯიბრებათა ჩატარებაზე, ე.ი. სპორტის დანერგვის პირველ წყაროებზე (რბენა, ჭიდაობა, ეტლებით შეჯიბრება, მუშტი-კრივი, ხტომები, შუბის ტყორცნა, ფარიკაობა, მშვილდოსნობა და სხვა).

სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებას და მათთვის საშეჯიბრო ხასიათის შეძენას დიდად შეუწყო ხელი ბერძნებში არსებულმა ყოფის სხვადასხვა სფეროში (შრომა, ხელოვნება, სპორტი) საშეჯიბრო პროცესების — **აგონისტიკის**, — პრინციპების დანერგვამ.



ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“, სხვა პოეტთა და მოაზროვნეთა ნაწარმოებებში ფართოდაა მოცემული საშეჯიბრო მაგალითები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამ მხრივ უამრავი მასალა მოიპოვება ძველბერძნულ ოლიმპიურ მითებში. გადმოცემებში, ყველგან, ასპარეზობები მთავრდება შეჯიბრებებით, უძლიერესთა გამოვლინებით — იმარჯვებს ის, ვინც ფიზიკურად განვითარებულია, მძლავრია, სისტემატურად მეცადინეობს ერთ ან რამდენიმე სახეობაში, ახასიათებთ მაღალი მორალური და მებრძოლი თვისებები, ოსტატობა, მოწინააღმდეგისადმი პატიოსანი დამოკიდებულება.

ფიზიკურ აღზრდას ანტიკურ საბერძნეთში უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ბავშვთა ფიზიკური მომზადება 7-8 წლის ასაკიდან იწყებოდა. ტანვარჯიშის გაკვეთილებში შედიოდა ვარჯიშები საგნებით, რბენები, მოძრავი თამაშები, ტყორცნები, ჭიდაობა, მშვილდოსნობა, ნიჩბოსნობა, ცხენოსნობა და სხვა. ყოველივე ეს მიმართული იყო ადამიანის სხეულის, ძალისა და სილამაზის განვითარებისაკენ.

ახალგაზრდობის ლტოლვას ვარჯიშისაკენ ხელს უწყობდა ძველი საბერძნეთის თითქმის მთელს ტერიტორიაზე განფენილი მრავალი სპორტული ნაგებობა (გიმნასია, პალესტრა, სტადიონი, იპოდრომი და სხვა).



ყოველივე ამან საფუძველი ჩაუყარა ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებს, რის შესახებ მრავალი მითი და ლეგენდა არსებობს.

ყველა მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენა ხშირად ლეგენდის, მითის მიზეზი ხდება. იგივე ითქმის ოლიმპიურ თამაშებზეც. მისი დაფუძნების თაობაზე მრავალი ლეგენდა შემორჩა ისტორიას. საყოველთაოდ ცნობილი ამ თამაშების მითები დაკავშირებულია ზევსის, პელოპსის, იფიტეს, ჰერაკლეს სახელებთან.

ერთი ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ზევსის შვილიშვილი პელოპსი სწვევია ქ. პისის მმართველს **ენომაიოსს**, რათა მისი მშვენიერი ქალიშვილის ჰიპოდამიას ხელი ეთხოვა. ქალიშვილის მამა ყველა სასიძოს უარით ისტუმრებდა, რადგან ქურუმების ჩაგონებით, ქალიშვილი გათხოვებისთანავე დაიღუპებოდა. უფრო აბეზარ სასიძოებს იგი ეტლებით შეჯიბრებაში იწვევდა და წინ გასულებს შუბით ასალმებდა სიცოცხლეს. მაგრამ „ციხე“ შიგნიდან გატყდა, ჰიპოდამიას მოეწონა პელოპსი, მათ მოისყიდეს ენომაიოსის მეეტლე, რომელმაც შეჯიბრებამდე დააზიანა ეტლი. რბოლის დროს ეტლი დაიშალა და ენომაიოსი ქვეშ მოიყოლია. გამარჯვების აღსანიშნავად პელოპსმა დააწესა ოლიმპიური თამაშები.

ბერძენი ხალხი თავის მითიურ გადმოცემებსა და ლეგენდებში **ჰერაკლეს** სახელს უკავშირებენ ოლიმპიური თამაშების დამკვიდრებას. ჰერაკლემ დააწესა ოლიმპიადაში გამარჯვებულთათვის პრიზი — გვირგვინი ზეთისხილის რტოებისაგან. ეს მცენარე მან ჩამოიტანა და გაახარა. მანვე აღმართა ექვსი წყვილი საკურთხეველი 12 ოლიმპიური ღმერთისათვის.

მესამე ლეგენდა უფრო რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული: ძველი წელთაღრიცხვით X-VIII საუკუნეებში, საბერძნეთის მთელს ტერიტორიაზე, ქალაქ-სახელმწიფოებს შორის გამუდმებული ძმათამკვლელი ომები მიმდინარეობდა. ამ ომებით შეწუხებულმა სპარტის მმართველმა **ლიკურგემ** და ელადის მმართველმა **იფიტმა** გადაწყვიტეს შეხვედროდნენ ერთმანეთს, დაედოთ ზავი, იგივე შეეთავაზებინათ სხვა ქალაქ-სახელმწიფოების მმართველებისათვის, რათა მთელს საბერძნეთში დაემყარებინათ მშვიდობა და დაეარსებინათ შეჯიბრება, რომელშიაც მტრები მშვიდობიან და მეგობრულ ბრძოლებში დახარჯავდნენ ენერგიასა და ძალას, რასაც ძმათამკვლელ ომებს ახმარდნენ. თამაშებთან დაკავშირებით უნდა გამოცხადებულიყო ერთთვიანი საღვთო ზავი — **„ეკეხეირია“**, როცა ყველა მებრძოლ მხარეს იარაღი უნდა დაეყარა.

გადაწყდა, რომ თამაშები მოეწყოთ აყვავებულ ველზე, ტყით მოსილ **ოლიმპიის** ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობითა და ბუნებით სამოთხეს ემსგავსებოდა. ეს მხარე მშვიდობიან მხარედ გამოცხადდა და აქ შეიარაღებული ადამიანი ფეხს ვერ გადადგამდა. სპარტანელ ლიკურგეს და ელიდელ იფიტეს შორის დადებულ ზავში ჩაწერილი იყო:

„ოლიმპია წმინდა ადგილია. ვინც გაბედავს მის შებღალვას შეიარაღებული ძალების გადმობიჯებით, სამარცხვინო ბოძზე გაიკრას, ვითარცა ღმერთის გარეგანი. ასევე უღმერთო ბოროტმოქმედი იქნება ის, ვინც მას არ დასჯის, უკეთუ ეს შეუძლია“. ეს ლეგენდა კი არა, ისტორიული ფაქტია.

ასე იქცა **ოლიმპია** ოლიმპიურ შეჯიბრებათა მხარედ, ბერძენი ტომების მშვიდობიანი თავშეყრისა და კულტურის გავრცელების კერად.

დავით კინწურაშვილი

(გაგრძელება იქნება)

სურათებზე: ზევით — ზევსის ბრინჯაოს ქანდაკება. ძვ.წ.460წ; ერთ სტადიაზე რბენის სცენა. ძვ. წ. VI საუკუნის პანათენურ ამფორაზე.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის „სპორტული დიდების მუზეუმის“ თანამშრომელს აზა კალოევა-მოგელაძეს შვილის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტს მურთაზ მნათობიშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებს სეოკ-ის წევრს, საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა პრეზიდენტს მურთაზ მნათობიშვილს.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია თანაგრძნობას უცხადებს ყოფილ თანამშრომელს მურთაზ მნათობიშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოფარიკავე, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, სპორტის ოსტატი

ვასილ ბაბუხადია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის 1962 წლის კურსდამთავრებულები თანადგომას უცხადებენ მწუხარებაში თანაკურსელს მურთაზ მნათობიშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

გამოსვენება შაბათს, 14 იანვარს, 14 საათზე, ბაქის წმინდა სამების ეკ- [illegible]

„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს მურთაზ მნათობიშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში გურამ სადარაძეს დისშვილის გარდაცვალების გამო.

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს ირაკლი მეძმარიაშვილს ბიძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი მეუღლის გარდაცვალების გამო მწუხარებაში თანადგომას უცხადებს ქართული სპორტის ვეტერან მოღვაწეს მურთაზ მნათობიშვილს.

„რაინდთა“ სკოლა თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის დამფუძნებელს მურთაზ მნათობიშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

«შავი პრინცი»

პირველი გვერდიდან

ვალდირ პერეირა დაიბადა 1928 წლის 8 ოქტომბერს, ბრაზილიაში. სხვადასხვა დროს თამაშობდა „ამერიკა კამპოსში" (1945-1949 წ.წ.), „მადურეირაში" (1949-1950 წ.წ.), „ფლუმინენსეში" (1950-1956 წ.წ.), „ბოტაფოგოში" (1956-1958 წ.წ. და 1960-1962 წ.წ.), მადრიდის „რეალში" (1958-1960 წ.წ.) ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 68 მატჩი, გაიტანა 20 ბურთი, მონაწილეობდა მსოფლიოს 1954, 1958 და 1962 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური სტადიის მატჩებში. იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — 1958 წ. და 1962 წ. საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა მწვრთნელად ბრაზილიაში, პერუში, მექსიკაში, არგენტინაში, თურქეთში. მას უწოდებდნენ გენიალურ სტრატეგს, დირიჟორს და ვირტუოზს. ცნობილია თავისი განუმეორებელი დარტყმით — „ხმელი ფოთოლი".

* * *

1950 წელს დიდი შეიყვანეს ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. პირველსავე მატჩში „მარაკანაზე", რომელიც ამ სტადიონის გახსნას მიეძღვნა, დიდიმ გაიტანა პირველი გოლი. ორი წლის შემდეგ დიდიმ ღირსეულად დაიკავა ადგილი ქვეყნის პირველი გუნდის — ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

1954 წელს მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ნაწილის მატჩებში, რომელიც შვეიცარიაში გაიმართა. დიდიმ იქ ორი გოლი გაუტანა — მექსიკისა და იუგოსლავიის გუნდებს. მონაწილეობდა სახელგანთქმულ უნგრეთის ნაკრებთან შეხვედრაში, რომელიც ბრაზილიელთა დამარცხებით 2-4 დამთავრდა. **ზეზე მორეირას** აღსაზრდელები ჩემპიონატს გამოეთიშნენ.

1956 წელს დიდი „ბუტაფოგომ" შეისყიდა, იმ პერიოდისათვის კოლოსალურ ფასად — I მილიონ 850 ათას კრუზეიროდ.

„ტორსიდა" ამ თანხას ყველგან აგროვებდა, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა: იღებდა სესხს, აგროვებდა ხალხში. ამბობენ, რომ **ჟოან სალდანიამ**, კლუბის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, მანქანის პატარა საბარგულიდან კრიტიკული მომენტისთვის საჭირო ბენზინისათვის განკუთვნილი მონეტები ამოიღო და საერთო ყულაბაში ჩადო.

სწორედ „ბოტაფოგოში" მოიპოვა დიდიმ საყოველთაო აღიარება, სიყვარული, ჯილდოები და დიდება, რომლის მსგავსი ბევრს არ ღირსებია მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

1958 წელს შვეციაში, მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილის მატჩების დროს დიდი იყო ერთხმად აღიარებული გუნდის ლიდერი. მას ერთნაირი გულისყურითა და პასუხისმგებლობით უსმენდნენ ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც.

სწორედ დიდი, ნილტონ სანტოსთან და გუნდის კაპიტან **ბელინისთან** ერთად, მოვიდა **ვისენტე ფეოლასთან** და მოითხოვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ გარინჩასა და პელეს გამოყვანა. ფეოლა მათ დაეთანხმა. ამის შემდეგ რაც მოხდა, კარგად იცის მსოფლიო საფეხბურთო სამყარომ.

შვეციაში დიდი ერთხმად იქნა აღიარებული ამ ჩემპიონატის მთავარ გმირად.

1954 წლის მსოფლიო ჩემპიონის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ზეპ ჰერბერგერმა განაცხადა:

— „ჩემს გუნდს რომ ისეთი ნიჭიერი დისპეტჩერი ჰყოლოდა, როგორიც დიდია, რომელიც სივრცეს შეუქმნიდა ფრიც ვალტერისა და რანის შეტევებს, ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენ შვეციაშიც მოვიპოვებდით მსოფლიო ჩემპიონის წოდებას".

იტალიურმა „გაზეტო დელლო სპორტ"-მა მის შესახებ დაწერა: — „ესაა მსახიობი, რომელსაც აქვს ამოუწურავი არსენალი. და რაც მთავარია: ესაა უდიდესი დირიჟორი ბრწყინვალედ განლაგებული ბრაზილიელთა ორკესტრისა. ეს არის ცენტრალური ზონის ყოვლისშემძლე პატრონი, რომელსაც აგრეთვე შეუძლია დროდადრო ყუმბარისებური დარტყმებით გაგზავნოს ბურთი მოწინააღმდეგეთა კარისაკენ".

მაგრამ ყველაზე მკაფიოდ და ანალიზურად დიდი დაახასიათა გაბრიელ ანომ, იმ პერიოდის ფრანგმა საფეხბურთო მიმომხილველმა:

— „ეს ფანტასტიკურია! ასეთები არ არიან! ამ ფეხბურთელმა შვეციასთან ფინალურ მატჩში 52 პასი გააკეთა და ყველა — პირველიდან ბოლომდე, გრძელი თუ მოკლე — ზუსტი იყო, ყველა დანიშნულების ადგილზე მივიდა! ამას გარდა ის მთელი მატჩის მანძილზე კარნახობდა თავის გუნდს მატჩის რიტმს. დიდი, როგორც არავინ, ამ ჩემპიონატში იმსახურებს წოდებას: „ფეხბურთელი ნომერი პირველი", რადგანაც მისი მსგავსი მსოფლიოში არავინ არ არის!"

დიახ! დიდი იყო გენიალური და განუმეორებელი გუნდის დისპეტჩერი — ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე. გუნდის დისპეტჩერის, დირიჟორის ფუნქცია მას არავისგან არ მიუღია. ეს შეუძლებელიცაა: —. ვინმეს მისცე ეს როლი, ან ვინმესგან მიიღო. დიდიმ ეს თვითონ მოიპოვა, თავისი საფეხბურთო მაღალი კლასისა და დიდი გემოვნების გამო. მოიპოვა ჯერ „ფლუმინენსეში", შემდეგ კი, „ბოტაფოგოში", სადაც მასთან ერთად, მის გვერდით თამაშობდნენ ნილტონ სანტოსი და გარინჩა. გუნდს კი, ჟოან სალდანია წვრთნიდა.

* * *

1959 წელს დიდი ევროპაში — მადრიდის „რეალში" გადავიდა. „სამეფო კლუბმა" ამისათვის სარეკორდო თანხა გადაიხადა — 80 ათასი დოლარი. მადრიდის აეროპორტში დიდის განუზომელი ოვაციებით შეხვდნენ. მისთვის განკუთვნილი სახლი ესპანეთის დედაქალაქში საჩუქრებით აავსეს. მას მუდამ თან ახლდნენ ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების გუნდები. ფოსტალიონებს მისი თაყვანისმცემლებისაგან გამოგზავნილი წერილები ტომრებით მოჰქონდათ.

დიდიმაც არ გაუმტყუნა მადრიდელებს იმედები, სულ მალე კადისში „რეალმა" მეტად პრესტიჟული ამონ დე კარანსას ტურნირი მოიგო, დაამარცხა რა ფინალში თავისი მუდმივი და სახელოვანი მოწინააღმდეგე - „მილანი" 3-0. ეს ის პერიოდია, როცა მადრიდის „რეალში" თამაშობდნენ უნგრელი პუშკაში, არგენტინელი დომინგესი, ფრანგი კოპა და ურუგვაელი სანტამარია.

ამავე გუნდში, დიდისათვის სამწუხაროდ, იყო კიდევ ერთი უდიდესი ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო... სწორედ დი სტეფანოს ეშმაკობითა და მზაკვრული ხასიათის გამო (ასე აღნიშნავენ ფეხბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტები) 1960 წლის საფეხბურთო სეზონის დასაწყისში დიდი სათადარიგო სკამზე დასვეს.

დიდის ოსტატობა, მაღალი კლასი, გულშემატკივართა განუზომელი სიმპათია მის მიმართ, ამავე დროს მაღალი ანაზღაურება იქცა მისი თანაგუნდელებისა და უპირველესად დი სტეფანოს შურისა და ღვარძლის საგნად.

დიდი გაწირეს: ლეგენდარული ბრაზილიელი რეზერვთა სკამზე მოისროლეს.

„შავი პრინცი" მეტად შეურაცხყოფილი დარჩა. მას არ შეეძლო შერიგებოდა მეორეხარისხოვან როლს. მან მონანიებისა და პატიების თხოვნით გამსჭვალული წერილი გაუგზავნა „ბოტაფოგოსა" და მის მწვრთნელს, თავის მეგობარს სალდანიას.

საბედნიეროდ, დიდი 1960 წლის ოქტომბერში „ბოტაფოგოში" დაბრუნდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე — თუ რომელი გუნდი მიაჩნია დიდის საუკეთესოდ მსოფლიოში — „შავმა პრინცმა" უპასუხა:

— „ყველაზე საუკეთესო გუნდი, რომელიც მე მინახავს, ეს სამოციანი წლების დასაწყისის მადრიდის „რეალია".

ეს მის დიდ ადამიანობაზე და დიდსულოვნებაზე მეტყველებს.

1961-62 წ.წ. დიდიმ და მისმა გუნდმა „ბოტაფოგომ" რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონობა მოიპოვეს (ამ პერიოდისათვის ეს ძალიან პრესტიჟული შეჯიბრება იყო, ვინაიდან ბრაზილიის ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ თამაშდებოდა.) 1962 წელს დიდი, ჩილეში, მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ის კვლავ გუნდის დისპეტჩერი, გული და ტვინი იყო.

დიდიმ საფეხბურთო კარიერა „ბოტაფოგოში" დაამთავრა. მას არ დაუცდია მაყურებელთა გულისწყრომისა და სტვენისათვის. არც მეორეხარისხოვანი კლუბების ძებნა დაუწყია. წავიდა ღირსეულად და ამაყად. ეს მოხდა გასული საუკუნის სამოციანი წლების შუა პერიოდში. ვალდირ პერეირა მაშინ 37 წლის იყო.

* * *

მალე, მას მიწვევა პერუდან მოუვიდა. დიდის პერუს ერთ-ერთი გუნდის — დედაქალაქის „სპორტინგ-კრისტალის" უფროსი მწვრთნელობა შესთავაზეს. იგი დაეთანხმა. მალევე დიდის სთხოვეს სათავეში ჩადგომოდა პერუს ნაციონალურ ნაკრებს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის (1970 წ.) შესარჩევი მატჩებისათვის იწყებდა მზადებას.

დიდი დაფიქრდა, მერყეობდა... წონიდა... აანალიზებდა.

ხმა და სურათი წარსულიდან

დიდისა და პერუს ნაკრების პირველი შეხვედრა 1953 წელს შედგა. მის შესახებ „შავ პრინცს" არცთუ სასიამოვნო მოგონება შემორჩა. ბრაზილიელებმა წააგეს შეხვედრა 0-1. ეს იყო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის პაექრობა.

მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, უხეშობისათვის, დიდის მსაჯმა მოედნის დატოვება მოსთხოვა.

ბრაზილიელი არ დაემორჩილა. იგი პროტესტის ნიშნად მსაჯს მიეჭრა. არბიტრი ურყევი აღმოჩნდა. საქმეში პოლიცია ჩაერია და დიდიმ მოედანი დატოვა.

მეორედ დიდის შეხვედრა პერუს ფეხბურთთან 1957 წლის 21 აპრილს მოხდა. ეს იყო მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი მატჩი ბრაზილიასა და პერუს შორის. პირველი შეხვედრა 13 აპრილს, ლიმაში 1-1 დამთავრდა. მეორე მატჩში გამარჯვებული გუნდი შვეციაში გაემგზავრებოდა.

მეორე ტაიმის, დასასრულს, როცა ანგარიში 0-0 იყო, პერუელთა კარში საჯარიმო დარტყმა დაინიშნა — მანძილი დაახლოებით ორმოცი მეტრი. დარტყმა დიდიმ შეასრულა. მისი „ხმელი ფოთოლი" სრული ძალით ამოქმედდა. ბურთმა მცველთა „კედელს" მაღალი ტრაექტორიით გადაუფრინა. პერუელთა მეკარემ, დარწმუნებულმა, რომ იგი კარს უკან დაეშვებოდა, თავისუფლად ამოისუნთქა და უცებ, თითქოს მაგნიტმა მიიზიდაო, ბურთი კარის ზედა ძელს ქვემოთ ჩაეშვა და კარის ბადეში გაეხვია.

ბრაზილიის ნაკრებმა შვეციის საგზური დაისაკუთრა.

* * *

ამ მოკლედ გადმოცემული ისტორიის შემდეგ ნათელია, თუ რატომ მერყეობდა, რატომ ფიქრობდა და რატომ მსჯელობდა „შავი პრინცი".

საბოლოოდ იგი დაეთანხმა პერუს ფეხბურთის მესვეურთა წინადადებას. მან პერუელთა ეროვნული ნაკრები ჩაიბარა.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში პერუმ ლიმაში არგენტინელთა სახელოვანი ნაკრები მოიგო.

შეხვედრის წინ თანამემამულეები პერუს პრეზიდენტმა ოფიციალურ მიღებაზე თავისთან მიიწვია და ფეხბურთელებს საკუთარი ხელით გადასცა მაისურები. „სიკვდილი ან სიცოცხლე!" — ასეთი იყო ლოზუნგი. პერუს ნაკრებმა უშეღავათო ბრძოლაში დაამარცხა არგენტინის ნაკრები — 1-0. შემდეგ: პერუმაც და არგენტინამაც წააგეს მატჩები ბოლივიაში და ორთავემ შინ გაიმარჯვეს მასთან.

გადამწყვეტი მატჩისათვის ბუენოს-აირესში პერუს ნაკრებს მეტოქეზე ორი ქულით მეტი ჰქონდა. პერუელებს მექსიკაში გამგზავრებისათვის მატჩის ფრედ დამთავრებაც აძლევდათ ხელს. დაძაბული ორთაბრძოლა სწორედ ასეთი ანგარიშით დამთავრდა. ამ შედეგმა არგენტინა ტრაურში ჩააგდო. დიდი პერუელთა კერპად და გმირად აქცია.

ამბობენ, რომ პერუს ნაკრების სამშობლოში დაბრუნება გრანდიოზულ დღესასწაულად გადაიქცა. გულშემატკივრები დიდისა და ფეხბურთელებს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ჰაერში ტყორცნიდნენ.

როგორც იქნა ისინი პრეზიდენტის სასახლეში მიიყვანეს. ქვეყნის პირველი პირი ფეხშიშველ და ჰალსტუხდაკარგულ დიდის მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— „მომისმინეთ, სად არის შენი ბრაზილიური პასპორტი? მოდი დავხიოთ იგი და შენ პერუელი გახდები".

ასე გაუკეთა დიდიმ „რეაბილიტაცია" საკუთარ თავს პერუელების წინაშე, 1957 წელს იმ „ხმელი ფოთლით" გატანილი გოლის სანაცლოდ, მათ რომ შვეციისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტა.

... მალე, შესარჩევ თამაშებში პერუელთა გამარჯვების შემდეგ, ერთ-ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა ჰკითხა დიდის:

— ჩვენს ნაკრებს რომ მექსიკაში ბრაზილიელთა წინააღმდეგ მოუწიოს შეხვედრამ?..

დიდიმ ღიმილით უპასუხა:

— ამ შემთხვევაში მე გუნდს მინდორზე გავიყვან, დავხუჭავ თვალებს და დაე, მოხდეს ის, რასაც მაღალი ღმერთი ინებებს.

* * *

მექსიკაში პერუელებმა დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში 3-2 დაამარცხეს ბულგარელები (ისინი შეხვედრის მეორე ნახევრის მე-12 წუთისათვის აგებდნენ მატჩს 0-2), შემდეგ მაროკოელებს სძლიეს 3-0 და წააგეს გფრ-ის ნაკრებთან 1-3. ისინი მეოთხედფინალში გავიდნენ.

და, აი, ბედის ირონია: მეოთხედფინალში მათი მოწინააღმდეგე ბრაზილიის ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ნაკრები აღმოჩნდა. ფორტუნამ ასე განსაზღვრა.

ძნელი არ არის იმის გათვითცნობიერება, თუ რა ხდებოდა დიდის გულში. მისი — პერუს ნაკრები, უნდა დაპირისპირებოდა, მისი სამშობლოს — ბრაზილიის ნაკრებს, მისი თანაგუნდელების და მეგობრების მარიო ზაგალოსა (უფროსი მწვრთნელი) და პელეს გუნდს. იგი უნდა შებრძოლებოდა ზაგალოსა და პელეს, მათ, ვისაც სხვებთან ერთად 12 წლის წინათ, შვეციაში, ფინალური მატჩის წინ უთხრა:

— „უნდა ვიფიქროთ არა საკუთარ თავზე, არამედ ბრაზილიაზე, ჩვენს ხალხზე, რომელიც ელოდება ამ გამარჯვებას — ერთადერთ სიხარულს, ბედმა მათ რომ უწილადა".

შერკინება მოხდა 1970 წლის 21 ივნისს. „შავი პრინცი" მისთვის ჩვეულ ადგილზე დაჯდა. ბევრმა არ იცოდა, რომ მას ამ პერიოდში ძველმა ავადმყოფობამ გაუხსენა — მას აუტანლად სტკიოდა ხერხემალი.

დიდიმ ნებისყოფა მოთოკა, კბილი კბილს დააჭირა და მატჩს ბოლომდე უხელმძღვანელა. პერუს ნაკრები დამარცხდა 2-4 და ჩემპიონატს გამოეთიშა.

* * *

სულ, ერთად აღებული, დიდიმ მწვრთნელად 24 წელიწადი იმუშავა. 21 წელიწადი — საზღვარგარეთ, სამშობლოში კი მხოლოდ 2 წელი და ცოტა მეტი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ბრაზილიამ იგი, როგორც მწვრთნელი, არ მიიღო — თავისი სამშობლო მას მეტად გულგრილად მოექცა.

* * *

1996 წელს დიდიმ მძიმე ოპერაცია გადაიტანა. დიდხანს ვერ შეძლო ჯანმრთელობის აღდგენა. შემდეგ თითქოს ნელ-ნელა ჩადგა ფორმაში, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოჯანსაღდა. მას დიდი სურვილი ჰქონდა წასულიყო კანადაში და 21-ე საუკუნის ფეხბურთისათვის ჩაეყარა საფუძველი. მისი განმარტებითა და ახსნით ეს იქნებოდა „როტაციული სისტემა", რომლის დროსაც ფეხბურთელებს არ ექნებოდათ რაიმე განსაკუთრებული, ერთადერთი ფუნქცია და პოზიცია. მას სურვილი ჰქონდა მოედნის ცენტრში განელაგებინა ოთხი „მუდმივ შტატში" ჩასმული გამთამაშებელი ფეხბურთელი, დანარჩენ შვიდს კი, თვით მეკარესაც, მონაწილეობა მიეღო შეტევაშიც და დაცვაშიც, შეეცვალათ საჭიროებისამებრ, ადგილები და ფუნქციები. მისი განსაზღვრითა და შეხედულებით ყველა ფეხბურთელს ყველგან თამაში უნდა შეძლებოდა, იმისდა მიხედვით თუ სად მოხვდებოდა იგი განსაზღვრულ მომენტში. მან, ამისათვის კანადა აირჩია და უარი თქვა ბრაზილიასა და ევროპაზე. მას მიაჩნდა, რომ კანადა ჯერ კიდევ არ ფლობდა მყარ საფეხბურთო სათამაშო კანონებს. ამიტომ ეს სიახლე ამ ქვეყნისათვის სავსებით მისასადაგებელი და მისაღები იქნებოდა.

* * *

დიდი გარდაიცვალა 2001 წლის 12 მაისს, ბრაზილიაში, კუნძულ გოვერნადორზე. კანადაში ის ვერ ჩავიდა. მისი ოცნება 21-ე საუკუნის ფეხბურთის შექმნის შესახებ, განუხორციელებელი დარჩა.

... ლეგენდად ქცეული „შავი პრინცი" თავის ოცნებებთან ერთად იმქვეყნიური ცხოვრების მუდმივი ბინადარი გახდა.

ნუგზარ მჭედლიშვილი
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი

ფეხბურთი გაგრაში გუშინ, დღეს და...

ჩემს წინაა „ლელოს" 1999 წლის 10-12 აგვისტოს ნომერი, რომლის ფურცლებზე უჩვეულოდ დიდი სათაურით დასტამბულია **უშანგ ჭიჭინაძის** ვრცელი წერილი — „გაგრიდან უშრეტი ნაკადულივით მოედინებოდნენ მოთამაშეები დიდ ფეხბურთში, დღეს ეს ნაკადულიც დამშრალია"... იგი მიეძღვნა ქართული ფეხბურთის დიდ მოამაგეს, გაგრელ ფეხბურთის მწვრთნელ **რევაზ შარტავას**, რომელსაც იმხანად 70 წელი შეუსრულდა. მას შემდეგ, ცხადია, ბევრმა წყალმა ჩაიარა და გაგრის ფეხბურთიდან ჩვენი ქვეყნის პირველხარისხოვან გუნდებს, ფაქტობრივად, შევსება არ მიუღია. ახლა, როგორც იქნა, „გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კეთილი ნებით, გაგრის საფეხბურთო კლუბი დაუშვეს პირველ ლიგაში სათამაშოდ. გუნდმა ბინა დაიდო სოფელ მუხრანში, მცხეთის მახლობლად. ამ უჩვეულო გაბედულმა წამოწყებამ, საბედნიეროდ, გაამართლა და „გაგრამ" ადგილი დაისაკუთრა პირველ ხუთეულში, რაც გუნდის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ის კი არა, ბევრი სპეციალისტი გაგრელ ფეხბურთელებს საჩხერის „ჩიხურასთან", აგარის „მეშაქარესთან" და კიდევ რამდენიმე გუნდთან ერთად უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ პრეტენდენტადაც მიიჩნევს. დღევანდელი საფეხბურთო კლუბი „გაგრა" ადრე საქართველოს პირველობის გათამაშების სხვადასხვა ჯგუფებში გამოდიოდა — „ბურევესტნიკის", „ტორპედოს", „სიხარულის", „დინამოს" სახელწოდებით... მაგრამ სად და რომელ ჯგუფშიაც უნდა ეთამაშათ გაგრელ ტყავის ბურთის ოსტატებს, ისინი მაჩანჩალათა შორის არასდროს ყოფილან... ამას გარდა, შავიზღვისპირეთში საწვრთნელ შეკრებაზე ჩამოსულ უამრავ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებს ისინი სპარინგ-პარტნიორობასაც უწევდნენ.

გაგრის ზემოაღნიშნული სახელწოდების გუნდებში სხვადასხვა დროს აღიზარდნენ და დიდ ფეხბურთში მოიკიდეს ფეხი ქართული ფეხბურთის ისეთმა დიდოსტატებმა, როგორებიც იყვნენ **გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, ვლადიმერ გეტმანოვი, ვლადიმერ შელია, გენადი ბონდარენკო** და სხვები.

სამოცდაათიან წლებში გაგრაში სტუმრად მყოფმა ქართული ფეხბურთის „ვიცე-კარუზომ" **გაიოზ ჯეჯელავამ** აღტაცება ვერ დაფარა და ჩემთან საუბარში გაგრის საქალაქო გაზეთ „ავანგარდის" ფურცლებზე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაში ერთდროულად სამი ფეხბურთელის გამოჩენა (გიორგი სიჭინავა, ბარქაია, გეტმანოვი) ძალზე უჩვეულო მოვლენააო... კერძო საუბარში კი დასძინა, ერთი კვირაა ამაოდ ვცდილობ გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან მიღებაზე შესვლას, — ასე თვით იოსებ სტალინთან შესვლა არ გამჭირვებიაო!

გაიოზ ჯეჯელავა „ფეხბურთის კარუზოს" ბორის პაიჭაძის დავალებით იმყოფებოდა გაგრაში სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გახსნის თაობაზე. ამ სკოლას ქართული ფეხბურთის „სუპერვარსკვლავი" გიორგი სიჭინავა უნდა ჩადგომოდა სათავეში... სკოლა უმოკლეს ვადებში გაიხსნა და არაერთი შესანიშნავი ფეხბურთელი აღუზარდა როგორც თბილისის „დინამოს" და ქუთაისის „ტორპედოს", ისე სოხუმის „დინამოს" და პოსტსაბჭოური სივრცის რიგ რეგიონებს. მას შემდეგ, რაც

იხ. მე-4 გვ.

ოფიციოზი

ხანგრძლივი მივლინებები

დღეიდან, თითქმის, თვის ბოლომდე, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს — პრეზიდენტს **ნოდარ ახალკაცს** და გენერალურ მდივანს **უჩა უგულავას** ხანგრძლივი ოფიციალური ვიზიტების დრო დაუდგებათ.

13-15 იანვარს, სფფ-ს მესვეურები მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საწყისი ეტაპის მატჩებს დაესწრებიან და ფიფას პრეზიდენტს **იოზეფ ბლატერს** შეხვდებიან, რომელიც აღნიშნულ ტურნირს უკვე რამდენიმე წელიწადია ესწრება და პოსტსაბჭოთა ქვეყნების საფეხბურთო ჩინოვნიკებს საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრება.

16-24 იანვარს ნოდარ ახალკაცი გერმანიაში ჩავა საქმიანი ვიზიტით, 25 იანვრიდან კი გენერალურ მდივანთან ერთად შვეიცარიაში, ქალაქ ნიონში გადავა და ჯერ უეფაში, ფედერაციების პრეზიდენტების და გენერალური მდივნების ტრადიციულ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, მერე კი, 27 იანვარს, ქალაქ მონტროში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრას დაესწრება, სადაც ქართული ფეხბურთის მესვეურთ ეროვნული ნაკრების გერმანელი თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც შეუერთდება.

საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში.

გადადებული მატჩები:
სოხუმი — ქართლი 6-7
ქართლი — ბერმუხა (დღეს)

ცენტრპოინტი	16	13	1	2	144-68	40
საბურთალო	16	12	3	1	132-78	39
იბერია	16	12	2	2	98-61	38
ნიკორა	16	12	0	4	88-69	36
აჭარა	16	6	1	9	89-98	19
ბერმუხა	15	4	2	9	79-103	14
იმედი	16	3	1	12	75-106	10
ქართლი	15	3	1	11	75-115	10
სოხუმი	16	0	1	15	74-156	1



„დინამო“ მოსკოვისკენ დაიძრება

თბილისის „დინამომ“ სეზონისთვის შინაური სამზადისის პირველი ეტაპი დაასრულა, საკონტროლო მატჩებიც გამართა და ახლა მოსკოვში გასამგზავრებლად და დსთ-ს ტურნირში სასპარეზოდ ემზადება. გუნდს დაუბრუნდა ფორვარდი **ლადო ახალაია**, რომელსაც შვეიცარიული „ციურიხიდან“ კარიერა, თითქოს, მოსკოვის „დინამოში“ უნდა გაეგრძელებინა. ჯერ ისიც უცნობია, ლადო გაჰყვება თუ არა „დინამოს“ მოსკოვში. შეგახსენებთ, დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირში, ჯგუფურ ეტაპზე დინამოელები 14, 15 და 17 იანვარს, შესაბამისად მოსკოვის ცსკა-ს, ტაშკენტის „ფახთაქორს“ და ტალინის ტვმკ-ს შეხვდებიან და შეიძლება ტურნირს მეტ ხანსაც შემორჩნენ.

დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ, მოსკოვში თანამეგობრობის თასზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა. სია გუშინ გამოამზეურა:

მეკარეები: სოსო გრიშიკაშვილი, ზვიად სტურუა;

მცველები: სერგი ორბელაძე, რევაზ ქემოკლიძე, დავით გიგაური, გულვერდი თომაშვილი, უჩა ლობჟანიძე, ლევან აკობია;

ნახევარმცველები: ლაშა ნოზაძე, კახა მახარაძე, გიორგი მერებაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიორგი ნავალოვსკი:

თავდამსხმელები: მიხეილ ბობოხიძე, გიორგი მეგრელაძე, ლევან მელქაძე, ჯაბა დვალი, ლადო ახალაია.

თან დასძინა, რომ თანამეგობრობის თასზე მონაწილეობა მეორე წრისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი ეტაპია და მთავარ ამოცანად ახალგაზრდა, იმედის მომცემ დინამოელთა საბრძოლო გამოცდა მიაჩნია. თუმცა, არც შედეგს დაივიწყებს და შეეცდება გულშემატკივარს ისეთი თამაში აჩვენოს, როგორსაც ისინი „დინამოსგან“ მოელიან.

სამწუხარო ფაქტი

სამშაბათს, თბილისში, ორთაჭალის ერთ-ერთ ავტოსადგომთან შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა ბოლნისის „სიონის“ გენერალური დირექტორი გია აბაზაძე დააკავა, მას ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოუჩინეს. მასთან ერთად კიდევ ოთხი პიროვნება, მათ შორის, კლუბის მენეჯერი ტარიელ აბრამიაც დააკავეს, თუმცა, ისინი მალევე გაათავისუფლეს. აბრამიას ფულადი და ადმინისტრაციული ჯარიმა შეიძლება დააკისრონ. სოდ-ის ცნობით, ისიც ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. „სიონის“ მესვეურთა პირველი რეაქცია მომხდარზე ის იყო, რომ ორივე თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა.

„სიონს“ ახალი დირექტორი ჰყავს

ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაკავებული ბოლნისის „სიონის“ ყოფილი დირექტორის **გია აბაზაძის** სავარძელი თავისუფალი დიდხანს არ ყოფილა. კლუბის პარტნიორთა კრებამ ახალ დირექტორად ვეტერანი ფეხბურთელი, ყოფილი ადმინისტრატორი **არჩილ შაკიაშვილი** დანიშნა. გუნდი კი სეზონისთვის შერჩეული გრაფიკით ემზადება და 21 იანვარს იალტაში წავა საწვრთნელ შეკრებაზე. ბოლნისელებს იალტაში გაჰყვებიან დინამოელები: **ლევან ხმალაძე**, გიორგი ქუცურუა და ბორჯომელი ლაშა ჰელიძე.

იმნაძე აბაშიძემ შეცვალა

მწვრთნელი შეიცვალა თბილისის „სპარტაკში“. გიგლა იმნაძის ნაცვლად ჩემპიონატის მეორე წრისთვის გუნდს ჯუმბერ აბაშიძე მოამზადებს. იგი რამდენიმე წელი, ადრეც იყო გუნდის მთავარი მწვრთნელი. მერე კი, ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწეობდა. გიგლა იმნაძე გუნდიდან არ წასულა. იგი მეკარეების მწვრთნელი იქნება.

კოლხური სამზადისი

ფოთის „კოლხეთის“ თავკაცი **სოსო ფილია** ქალაქის მერს ვანო საღინაძეს შეხვდა და გუნდის პერსპექტივებზე გაესაუბრა. კოლხები სეზონისთვის აქტიურად ემზადებიან და 25 იანვრამდე ორმოცამდე ფეხბურთელის გასინჯვას აპირებენ. ჯერჯერობით, გუნდიდან მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი** წავიდა. სხვა მხრივ, განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა. რამდენიმე დღეში ფოთელები საკონტროლო მატჩებსაც გამართავენ. 17 და 20 იანვარს ბათუმის „დინამოს“, 24 და 27 იანვარს ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვდებიან.

„სპარტაკიც“ გაახალგაზრდავდება

უმაღლესი ლიგის გუნდებიდან სეზონისთვის მზადება თბილისის „სპარტაკმა“, თითქმის ყველაზე გვიან დაიწყო. გიგლა იმნაძის შეგირდებმა ვარჯიში ორი დღეა, რაც დაიწყეს. გუნდიდან წავიდნენ აკაკი დევაძე, რომელმაც კარიერა, თითქმის დაასრულა, ლაშა ჯანგიძემ ბორჯომისკენ გასწია, ირაკლი მალიჩავა და ვასილ ღუჭაშვილი. მცირე ბიუჯეტიან კლუბში, არც ფეხბურთელთა მოზღვავებას ელიან. გუნდი ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტდება.

საქართველო წარმატების ღირსია

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან **კლაუს ტოპმიოლერთან** ორშაბათს ხელმოწერილი კონტრაქტი ძალაში 1 თებერვლიდან შევა. ნაკრების თავკაცი თბილისში, სავარაუდოდ, 5 თებერვალს ჩამოვა და 7 და 9 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ორ ამხანაგურ მატჩს დაესწრება. ჩვენებურები აზერბაიჯანელ თანატოლებს შეხვდებიან. აქედან დაიწყება გერმანელის ქართული საქმიანობა. შეიძლება, მან ეროვნული გუნდისთვის კანდიდატებიც შეარჩიოს. მერე კი პირველი ოფიციალური ტურნირის დროც მოვა. ტოპმიოლერის და მისი თანაშემწის **რალფ მინგეს** მუშაობის პირველი შედეგები კი მალტის ოთხთა ტურნირზე გამოჩნდება. ჯერჯერობით, გერმანელები ჩვენი მასპინძლობით, ხელისუფლების და არამარტო სპორტული საზოგადოებრიობის მხარდაჭერით და კეთილგანწყობით კმაყოფილები არიან და ნაკრების გაწვრთნასაც იმედით და ენთუზიაზმით დაიწყებენ.

„საქართველო წარმატების ღირსია, ქვეყნის პრეზიდენტს შევპირდი, რომ მის იმედებს გავამართლებ“, - განაცხადა ტოპმიოლერმა საქართველოს პრეზიდენტთან **მიხეილ სააკაშვილთან** შეხვედრის შემდეგ.

სავსებით შესაძლებელია, მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე, ტოპმიოლერმა გაახერხოს და საქართველოს ეროვნული გუნდი თანამემამულეთა ეროვნულ ნაკრებს ამხანაგურად გააჯიბროს.

მზერა პორტუგალიისკენ

კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები, რამდენიმე დღეში, კონკრეტულად, 23 იანვარს სფფ-ს ტექნიკური ცენტრიდან აიბარგებიან და პორტუგალიაში გაემგზავრებიან. ლისაბონში ახალგაზრდულ ნაკრებთა VI ტრადიციულ ტურნირში ჩვენებურები პორტუგალიის, სლოვენიის და სლოვაკეთის ახალგაზრდულ ნაკრებებს დაუპირისპირდებიან. ქართველთა პირველი მეტოქე სლოვაკეთის ნაკრები იქნება. პორტუგალიის ნაკრები სლოვენიასთან მატჩის შედეგის მიუხედავად, ფინალში ისპარეზებს და საქართველოსა და სლოვაკეთს შორის გამარჯვებულს ეთამაშება. ამ შეხვედრაში დამარცხებული მესამე ადგილისთვის სლოვენიის ნაკრებს შეხვდება.

24 იანვარი. საქართველო – სლოვაკეთი (15:30), პორტუგალია – სლოვენია (18:15). 26 იანვარი სლოვენია – საქართველოსა და სლოვაკეთს შორის დამარცხებული (15:30), პორტუგალია – საქართველოსა და სლოვაკეთს შორის გამარჯვებული (18:15) (ფრჩხილებში მითითებულია თბილისის დრო). ტურნირის დასრულების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პორტუგალიის დედაქალაქში 5 თებერვლამდე დარჩება და საწვრთნელ შეკრებას გაივლის. ნაკრების თავკაცს თანაშემწეობას **მამუკა აბუსერიძე** გაუწევს, მათ განკარგულებაში 22 ფეხბურთელია:

მეკარეები:
რევაზ თევდორაძე („თბილისი“),
მიხეილ ალავიძე („თბილისი“),
მცველები:
დავით მჭედლიშვილი („ამერი“),
ზურაბ გვაძაბია („ამერი“),
გულვერდ თომაშვილი („დინამო“),
გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი“)
გიორგი ელბაქიძე (ამერი“).
ნახევარმცველები:
მირზა ბუალავა („ამერი“),
გიორგი განუგრავა („ზესტაფონი“),
კახა მახარაძე („დინამო“),
რევაზ წულაძე („ვიტ-ჯორჯია“)
ირაკლი ჩირიკაშვილი („დინამო“),
ირაკლი ძარია („ზესტაფონი“)
გოგი ფიფია („ზესტაფონი“),
გიორგი ნუგზარს ძე ჰელიძე („დინამო“)
გიორგი ხუმარაშვილი (ზესტაფონი2)
მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი“)
ალექსი ბენაშვილი („ზესტაფონი“),
თავდამსხმელები:
რატი წინამძღვრიშვილი („ამერი“),
ბექა გოცირიძე („ზესტაფონი“),
ბესიკ ჩიმაკაძე („ამერი“),
გიორგი კახელიშვილი („ლოკომოტივი“).

სწავლა სიბერემდეო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კონკრეტულ საკითხებზე მუშაობასთან ერთად, შეუქცევადი სწავლების პროცესიც მიმდინარეობს. გასული წლის ბოლოს, ნაკრების ტექნიკურ ცენტრში მწვრთნელთა მომზადების „ა“ კატეგორიის კურსები დაიწყო. ახლა, მათ, „ბ“ კატეგორიის მიღების მსურველი მწვრთნელებიც შეუერთდებიან და სასწავლო სემინარებს კოლეგებთან ერთად მოისმენენ და შეისწავლიან. თბილისში, სამი დღეა იმყოფება ფეხბურთის ფრანგი სპეციალისტი **ჟაკ დევიმი**, რომელიც სფფ-ს ტექნიკურ დირექტორ **გაიოზ დარსაძესთან** ერთად 23 იანვრამდე. წაუკითხავს ლექციებს ორივე კატეგორიის მწვრთნელებს.

25-28 იანვარს და 11 თებერვალს, საკლუბო ლიცენზირების სისტემაში დასაქმებული პირები შეუდგებიან სწავლას და ლიცენზირების საკითხებში ცოდნას გაიღმარვებენ. მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ლიცენზირების ხუთივე სპორტულ, ინფრასტრუქტურულ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სამართლებრივ ფინანსურ კრიტერიუმს, ლიცენზირების სტანდარტს და შიდა აუდიტს მოიცავს. 11 თებერვალს კი სემინარისტები კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს და საკლუბო ლიცენზირების ექსტრანეტში მუშაობას შეისწავლიან.

შაშიაშვილი – ხორვატიაში, ამისულაშვილი – უკრაინაში

საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი მცველი გიორგი შაშიაშვილი და ალექსანდრე ამისულაშვილი ახალ კლუბებში გადავლენ. შაშიაშვილი განათხოვრების წესით, ოსური „ალანიიდან“ ხორვატიის სპლიტის „ჰაიდუკში“ ჩაირიცხა. ამისულაშვილი კი, ასევე განათხოვრებით კიევის „დინამოდან“ სიმფეროპოლის „ტავრიაში“ დაასრულებს სეზონს.

ფეხბურთი გაგრაში გუშინ, დღეს და...

მესამე გვერდიდან

ღვაწლმოსილმა მწვრთნელმა რევაზ შარტავამ ფეხბურთთან კავშირი გაწყვიტა, გაგრის იმდროინდელ საფეხბურთო კლუბ „სიხარულს“ მისივე აღზრდილი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი **რ. წოწორია** ავარჯიშებდა. საფეხბურთო გუნდის „სიხარულის“ სახელწოდება ამ გუნდის საშეფო ორგანიზაციის გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „სიხარულის“ გამო უწოდეს, რომლის თავკაცი **აკაკი ყარამანიშვილი** დიდ დახმარებას და თანადგომას უწევდა გუნდს, არ აცდენდა მის არც ერთ შეხვედრას. ახლაც, საფეხბურთო კლუბ „გაგრას“, ახალი მეპატრონეებიც არ აკლებენ მზრუნველობას და, იმედია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოახლოებულ პირობებში, გაგრელი ფეხბურთელები კვლავ იტყვიან თავიანთ სათქმელს ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. დასასრულ, მინდა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს წარმოვუდგინო „გაგრის“ ყველა დროის საუკეთესო შემადგენლობა. მეკარე — **ჯაიანი**, დაცვა — **გეტმანოვი, შელია, უსტაბაშიდი**, ნახევარდაცვა — **გიორგი სიჭინავა, რ. წოწორია**. თავდასხმა — **შოთა სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, გოჩა გავაშელი, მიხეილ ჯიშკარიანი, გია ჯიშკარიანი**. ა ფეხბურთელების გარდა, თბილისის „დინამოში“ უთამაშიათ: მეკარე **ბაბუაძეს**, თავდამსხმელ **ქოჩკიანს** (7 მატჩი). მცველ ა. ჩეკუნოვს (5).

გაგრის ფეხბურთმა კვლავ დიდი სარგებლობა რომ მოუტანოს მომავალში ქართულ ფეხბურთს, ახლა ამის ყველა წინაპირობა არსებობს, „ყნული დაიძრა“ — გაგრის საფეხბურთო კლუბს სოხუმის „დინამოსთან“ ერთად ძალუძს უწყვეტ ნაკადად ისევ მოამარაგოს პირველხარისხოვანი საფეხბურთო კლუბები და, რაც მთავარია, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები. რაც შეეხება გუნდის სახელწოდებას, სასურველია „გაგრის“ შეფებმა მას სახელი გამოუცვალონ და გაგრის ქედის გასწვრივ აღმართული მაღალი მთის „მამდზიშხას“ სახელი უწოდონ, ხოლო სოხუმის „დინამოს“ — „ცხუმი“ დაუბრუნონ თუ არა, „დიოსკურია“, ან აფხაზეთის ძველი დედაქალაქის სახელწოდება — „ანაკოფია“ მაინც უბოძონ.

დემურ ტორაძე
„ლელოს“ კორ.

P.S. **საქართველოს ტერიტორიის ფედარალური მოწყობის შემთხვევაში აფხაზეთს ძალუძს 12 გუნდით ისპარეზოს. სამი გუნდი სოხუმიდან – „ცხუმი“, „აეროპორტი“, „ეშერა“; ამდენივე გაგრიდან – „მამდზიშხა“, „ფსოუ“, „ბიჭვინთა“, ორი გუნდი გუდაუთიდან – „რიწა“ და „ფსირცხა“ (ახალი ათონი); თითო: გულრიფშიდან – „დრანდა“, ტყვარჩელიდან – „აკარმარა“, ოჩამჩირიდან – „ილორი“, გალიდან – „აჩიგვარა“.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გუშინ, 10 იანვარს სამართალდამცავმა ორგანოებმა ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინის შენახვა-მოხმარების ბრალდებით დააკავეს საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიოსნის“ დირექტორი **გრიგოლ აბაზაძე**. მიუხედავად იმისა, რომ ექვმიტანილის ბრალეულობა სასამართლოს ჯერ არ დაუმტკიცებია, თავად ფაქტი, რომ ფეხბურთში დასაქმებულ პიროვნებას ასეთი ბრალდება აქვს წაყენებული, ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელი და დასაგმობია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს იმისთვის, რათა ქართული ფეხბურთის სამსახურში ყოველმხრივ უმწიკვლო ადამიანები იდგნენ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ფრანც ბეკენბაუერი: „რა დროს თხილამურებია, როცა ჩემპიონატი ახლოვდება“

ცნობილია, რომ წელს გერმანია მასპინძლობს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს. ამ მნიშვნელოვანი საფეხბურთო ტურნირის დაწყებამდე საკმაო დროა, თუმცა, მღელვარება უკვე იგრძნობა. გთავაზობთ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ფრანც ბეკენბაუერის მიერ გაზეთ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

◆ ***მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ხუთი თვე დარჩა. როგორ მიდის მზადება ამ ღონისძიებისათვის გერმანიაში?***

— გეგმის მიხედვით. ის კი არა, გარკვეულ საკითხებში სამუშაო გრაფიკსაც „ვუსწრებთ“. ყველა სტადიონი ასი პროცენტით არის მზად მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების სამასპინძლოდ, ტურიზმის ინდუსტრია კი უკვე ოთხი წელია მზად არის სტუმრების მისაღებად, შემუშავებულია უსაფრთხოების ნორმები. მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის ტემპი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ პოპულარულია სპორტის ეს სახეობა. ბილეთების შეძენის პრობლემა მუდამ იქნება 9 ივლისამდე.

◆ ***კაიზერსლაუტერნსა და ნიურნბერგში სტადიონებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები წარმოიქმნა. რასთან იყო დაკავშირებული ეს პრობლემები და რამდენად სერიოზულად?***

— პრობლემები იყო კონსტრუქციებთან დაკავშირებით და ის უკვე გადაიჭრა. ჩვენი სამუშაო გრაფიკის ეფექტურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წარმოქმნილ ამა თუ იმ პრობლემას მშვიდად ვაგვარებთ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ფართო მასშტაბური პროექტის განხორციელებას, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზებაა, ხშირად ახლავს პატარ-პატარა შეფერხებები. მე მშვიდად ვხვდები ამას, რადგან ჩვენთან მუშაობენ მაღალი კლასის სპეციალისტები. მახსოვს, წინა ჩემპიონატების დროს, სტადიონებზე სამუშაოების ბოლო ეტაპი ტურნირის პირველი შეხვედრების წინ სრულდებოდა. ჩვენც დაგვრჩა მცირე სამუშაოები, რომლებიც მხოლოდ ბუნდესლიგის გათამაშების დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს, მაგრამ საამისოდ მცირე დრო გვჭირდება. გიმეორებთ, სტადიონები ასი პროცენტით მზად არის.

◆ ***კენჭისყრის შედეგად გერმანიის ნაკრებთან ერთ ჯგუფში მოხვდნენ კოსტა-რიკის, პოლონეთისა და ეკვადორის გუნდები...***

— შეიძლება ითქვას, რომ გაგვიმართლა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეულ მეტოქესთან სათამაშოდ სერიოზულად მომზადებაა საჭირო.

კენჭისყრამდე ვამბობდი, რომ გერმანიის ნაკრების მოხვედრას „ძნელ ჯგუფში“ ვამჯობინებდი, რათა ჩვენი გუნდის მოთამაშეები თავიდანვე საბრძოლველად განწყობილიყვნენ ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ... ახლა ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს გუნდს ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. მახსენდება 1974 წელი, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს ვკაპიტნობდი. ჩვენ მაშინ, ერთი შეხედვით, იოლ ჯგუფში მოვხვდით — ჩვენი მეტოქეები იყვნენ ჩილეს, ავსტრალიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. მაინც ძალების მობილიზება დაგვჭირდა გამარჯვებების მოსაპოვებლად.

◆ ***მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში სიურპრიზები შემოგვთავაზეს კორეისა და სენეგალის ნაკრებებმა. წელს ვისგან ელით სიურპრიზს?***

— 2002 წლის ჩემპიონატი უნიკალური გამოდგა — ის ადრე დაიწყო, რადგან ორგანიზატორებს სურდათ, წვიმების სეზონისათვის დაესწროთ. ფეხბურთის ვარსკვლავებს ახალი დასრულებული ჰქონდათ საკლუბო დონეზე სეზონი და მაშინვე მსოფლიო ჩემპიონატზე მოუწიათ გამგზავრება. ბევრი მათგანი გადაღლილი იყო და ეს რით დასრულდა, ყველამ კარგად ვიცით, - ავიღოთ თუნდაც საფრანგეთის ნაკრების მაგალითი... ყოველივე ეს ფიფამ გაითვალისწინა და გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფეხბურთელებს დასვენებისათვის საკმაო დრო ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე, სიურპრიზებს არ ველი.

◆ ***კენჭისყრის დროს ძალიან ღელავდით?***

— მხოლოდ იმაზე, რომ რომელიმე კალათაში გამოუყენებელი ბურთულა არ დარჩენილიყო (იცინის). მახსოვს, ერთხელ ვმონაწილეობდი გერმანიის თასის გათამაშების პირველი რაუნდის კენჭისყრაში. კალათებში სულ 124 ბურთულა უნდა ყოფილიყო. კენჭისყრა რომ დასრულდა, აღმოვაჩინეთ, რომ ერთი ბურთულა ზედმეტი იყო.

◆ ***გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან იურგენ კლინსმანთან ხშირად საუბრობთ ხოლმე?***

— არც ისე. უფრო ხშირად ვესაუბრები ოლივერ ბირხოფს, რომელიც გერმანიის ნაკრების მენეჯერი და კლინსმანის მარჯვენა ხელია.

◆ ***თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?***

— ძალიან მიყვარს ზამთარში თხილამურებით სრიალი. ვცხოვრობ მთებში მდებარე კურორტ კიტცბიულში, სადაც ყოველ ზამთარს თხილამურების სეზონია. წელს ასეთ სიამოვნებას მოკლებული ვარ. აბა, რა დროს თხილამურებია, როცა მსოფლიო ჩემპიონატი ახლოვდება. კენჭისყრის შემდეგ დავიწყეთ მოგზაურობა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნებში. ამას რომ დავამთავრებთ, ჩემპიონატი უკვე კარს მომდგარი იქნება.

უკან, მოურინიოსთან

ბევრ ფეხბურთელს, საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები სრულად რომ გამოავლინოს, კონკრეტული მწვრთნელი სჭირდება. 2004 წელს, როგორც ცნობილია, „პორტუმ“ ევროპის ჩემპიონთა ლიგა მოიგო, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს. პორტუგალიურ გუნდში რამდენიმე ფეხბურთელმა სრულად გაიბრწყინა. ერთ-ერთი მათგანი იყო მიშელ მანიშე. იმავე წლის ზაფხულში მოურინიო ლონდონის „ჩელსიში“ მიიწვიეს მთავარ მწვრთნელად, ხოლო „პორტუში“ დარჩენილი მანიშეს კარიერაში „დაღმასვლის პერიოდი“ დადგა. უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2005 წლების სეზონში „პორტუ“ ვეღარ ბრწყინავდა. 2005 წლის ზაფხულში მანიშე... მოსკოვის „დინამოში“ აღმოჩნდა, მაგრამ ამ გუნდში საკუთარი ადგილი ვერ იპოვა.

და აი, მოურინიოს მანიშე გაახსენდა და თავისთან გადაიყვანა. მწვრთნელს სჯერა, რომ 28 წლის მანიშე ბევრ სარგებლობას მოუტანს რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის გუნდს.

მანიშე 1977 წლის ნოემბერში დაიბადა ლისაბონში, ის „ბენფიკას“ საფეხბურთო აკადემიაში სწავლობდა. 1996-1997 წლებში გარკვეული პრაქტიკა მიიღო „ალვერკაში“ თამაშით. პირველ სეზონში ნახევარმცველი დაეხმარა გუნდს, არ გავარდნილიყო მეორე დივიზიონიდან, მეორე სეზონში კი „ალვერკამ“ წარმატებით იასპარეზა და პირველი დივიზიონის საგზური მოიპოვა. ამის შემდეგ მანიშე ლისაბონის „ბენფიკაში“ მიიწვიეს, რომლის მთავარი მწვრთნელი მაშინ მოურინიო გახლდათ, თუმცა, ეს უკანასკნელი მალე გადავიდა „პორტუში“ სამუშაოდ. ამის მიუხედავად, მოურინიოსა და მანიშეს გზები კიდევ ერთხელ გადაიკვეთა...

ერთხანს მანიშეს კარიერაში გარკვეული „შეფერხებები“ მოხდა და ფეხბურთელი „ბენფიკას“ დუბლშემადგენლობაშიც აღმოჩნდა.... და მოურინიომ უშველა, — იგი 2002 წელს მიიწვია „პორტუში“. აქ კი მანიშე „გაიხსნა“. მან მალე მოიკიდა ფეხი პორტუგალიის საფეხბურთო გრანდის ძირითად შემადგენლობაში და ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველადაც იქცა. „პორტუსთან“ ერთად მანიშე ზედიზედ ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელი. მოიპოვა უეფას თასი, რასაც ევროპის ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფი მოჰყვა.

პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში მანიშეს დებიუტი შედგა 2003 წლის მარტში — გუნდი ამხანაგურად გაეჯიბრა ბრაზილიელებს და მსოფლიო ჩემპიონი პორტუგალიელებმა 2-1 დაამარცხეს. იქიდან მოყოლებული ექსი თვის განმავლობაში მანიშეს ზედიზედ იძახებდნენ ქვეყნის ეროვნულ გუნდში, თუმცა, ესპანელებთან საშინაო შეხვედრის შემდეგ პორტუგალიის ნაკრების თავკაცი ლუის ფელიპე სკოლარი რატომღაც აღარ ენდობოდა მანიშეს. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოსდა ამ ფეხბურთელს არ მიეცემოდა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობის საშუალება, მაგრამ... გუნდში მანიშესათვის ადგილი ბოლო მომენტში მაინც გამოინახა.

მანიშემ ევროპის ჩემპიონატზე გაიბრწყინა, ის კი არა, სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს და თავის ამპლუაში ერთ-ერთ საუკეთესოდაც აღიარეს. ფეხბურთის გულშემატკივართა აღტაცება გამოიწვია მანიშეს მიერ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრაში ჰოლანდიელთა კარში გატანილმა ფანტასტიკურმა ბურთმა.

ამის შემდეგ კი... მანიშე „დაიკარგა“. მოურინიოს კი მისი ხელახალი გაბრწყინების სჯერა. აკი თქვა კიდეც ლონდონის „ჩელსის“ თავკაცმა: „არ ვმალავდი, რომ მსურდა, მენახა მანიშე ჩემს გუნდში. ვგრძნობ, რომ ის გახდება ისტორიული მოთამაშე ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ჩელსიამდე“ მე ვმუშაობდი „ბენფიკასა“ და „პორტუში“ და მანიშე იქ გვერდით მყავდა“.

„ჟოზე მოურინიო არის ჩემი „ჩელსიში“ გადასვლის მთავარი მიზეზი: ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, მეტიც, მე მას ჩემს მაესტროდ მივიჩნევ“, — ეს სიტყვები კი მიშელ მაესტროს ეკუთვნის.

თანამეგობრობის თასზე

ხვალ, 14 იანვარს, მოსკოვში იწყება თანამეგობრობის თასის გათამაშება. გაგაცნობთ ჯგუფებსა და მატჩების განრიგს.

A ჯგუფი: ცსკა (რუსეთი), „დინამო“ (თბილისი, საქართველო), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი, უზბეკეთი), ტვმკ (ტალინი, ესტონეთი).

B ჯგუფი: „ნეფთჩი“ (ბაქო, აზერბაიჯანი“), „ვახში“ (ტაჯიკეთი), „მეტალურგი“ (ლიეპაია, ლატვია), „აქტობე“ (ყაზახეთი).

C ჯგუფი: „შახტარი“ (დონეცკი, უკრაინა), „შერიფი“ (მოლდოვა), მტტუ (თურქმენეთი), „დორდოი-დინამო“ (ყირგიზეთი):

D ჯგუფი: „პიუნიკი“ (სომხეთი), „კაუნასი“ (ლიტვა), „შახტარი“ (ბელარუსი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (უკონკურსოდ).

14 იანვარი.

სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი“

13.00 „პიუნიკი“ — „კაუნასი“
15.00 „მეტალურგი“ — „აქტობე“
17.00 „შერიფი“ — „შახტარი“ (უკრ.)
19.00 „დინამო“ (თბ.) — ცსკა

მანეჟი „დინამო“

13.00 რუსეთი — „შახტარი“ (ბელ.)
15.00 „ნეფთჩი“ — „ვახში“
17.00 მტტუ — „დორდოი-დინამო“
19.00 „ფახთაქორი“ — ტვმკ

15 იანვარი

სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი“

13.00 „შახტიორი (ბელ.) — „პიუნიკი“
15.00 „მეტალურგი“ — „ნეფთჩი“
17.00 „შახტარი (უკრ.) — „დორდოი-დინამო“
19.00 ცსკა — ტვმკ

მანეჟი „დინამო“

13.00 „კაუნასი“ — რუსეთი
15.00 „აქტობე“ — „ვახში“
17.00 „შერიფი“ — მტტუ
19.00 „დინამო“ (თბ.) — „ფახთაქორი“

17 იანვარი

სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი“

13.00 „შახტარი“ (ბელ.) — „კაუნასი“
15.00 „აქტობე“ — „ნეფთჩი“
17.00 მტტუ — „შახტარი“
19.00 ცსკა — „ფახთაქორი“

მანეჟი „დინამო“

13.00 რუსეთი — „პიუნიკი“
15.00 „ვახში“ — „მეტალურგი“
17.00 „დორდოი-დინამო“ — „შერიფი“
19.00 ტვმკ — „დინამო“ (თბ.)

18 იანვარი

მეოთხედფინალი

სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი“

1) 13.00 1D — 2C
2) 15.00 1B — 2A
3) 17-00 1C — 2D
4) 19-00 1A — 2B

20 იანვარი ნახევარფინალი

სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი“

16.00 მე-2 წყვილში გამარჯვებული — მე-3 წყვილში გამარჯვებული
19.00 პირველ წყვილში გამარჯვებული — მე-4 წყვილში გამარჯვებული.

22 იანვარი

ფინალი

13.00 სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი“

(საათები მოცემულია მოსკოვის დროით).

მზადებას იწყებენ

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ქვეყნებში მოუთმენლად ელიან პლანეტის მთავარ საფეხბურთო შოუს. ამიერიდან მსოფლიო ჩემპიონატზე სიახლეებს ჯგუფების მიხედვით გაგაცნობთ:

A ჯგუფი: გერმანიაში უკვე კამათობენ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ძირითადი შემადგენლობით წარსდგება ამ ქვეყნის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე.

გაზეთმა „ბილდმა“ ჩაატარა გამოკითხვა 23 საფეხბურთო სპეციალისტს შორის, რომელთა რიცხვში იყვნენ ფრანც ბეკენბაუერი, მიულერი, მაიერი, რეჰაგელი, რუმენიგე და სხვები. რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ გუნდის შემადგენლობა — თითოეულ ამპლუაში სამი ფეხბურთელი. აქედან პირველი ნომერი მიიღებდა 3 ქულას, დანარჩენები შესაბამისად 2 და 1 ქულას.

საბოლოოდ გერმანიის ნაკრებმა ასეთი სახე მიიღო: **მეკარე:** კანი (68 ქულა), **მცველები:** ფრიდრიხი (57), მეტცელდერი (45), მერტესაკერი (61), ლამი (60), **ნახევარმცველები:** ფრინგსი (18), დაისლერი (22), ბალაკი (66), ბოროვსკი (20); **თავდამსხმელები:** კლოზე (67), პოდოლსკი (40)

B ჯგუფი. 18 და 23 იანვარს შვედეთის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს საუდის არაბეთის და იორდანიის გუნდებთან.

შვედები შემდეგი შემადგენლობით ემზადებიან:

მეკარეები: ალებაგე („ვიბორგი“), გუსტაფსონი („ჰამკამი“) **მცველები:** ქ. ანდერსონი („ლილესტრიომი“), კონჩა („იურგარდენი“), გრანკვისტი („ჰელსინგბორგი“), ლუჩიჩი („ჰაკენი“), პერსონი („მალმე“), შლებრიუგე („ჰამარბი“) **ნახევარმცველები:** ქ. სვენსონი, ალექსანდერსონი (ორივე - „გეტებორგი“), ჯუჩიჩი („ჰალ მშტადი“), ა. სვენსონი, ისიძაკი (ორივე — „ელფსბორგი“) ერიქსონი („ოლბორგი“), აუბინი („ჰამარბი“), თავდამსხმელები: ჰისენი, იუნსონი (ორივე — „იურგარდენი“), სელაკოვიჩი („გეტებორგი“), ბერგლუნდი („ესბიერგი“), ოსმანოვსკი („მალმე“).

C ჯგუფი: ჰოლანდიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის„ თავდამსხმელმა რობი ვან პერსიმ ფეხის თითის ტრავმა მიიღო, რის გამოც ორი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს, სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრების მოთამაშე სავო მილოშევიჩი კი ერთი თვე ვერ დაიცავს ესპანური „ოსასუნას“ ღირსებას. ამის მიზეზიც ტრავმაა.

ვიერიმ „მონაკოსთან“ კონტრაქტი გააფორმა

იტალიელმა თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ წელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ფრანგულ „მონაკოსთან“. შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდი ვიერი „მილანის“ ღირსებას იცავდა, თუმცა, ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და კარლო ანჩელოტიმ იგი ტრანსფერზე დააყენა.

ვიერი დარწმუნებულია, რომ „მონაკოში“ წარმატებით ითამაშებს და იტალიის ნაკრების შემადგენლობაშიც ჩარიცხავენ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისათვის.

„მსოფლიო ჩემპიონატზე რომ გავემგზავრო, უნდა ვითამაშო — მოედანზე უნდა ვიყო და საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო“, — ამბობს კრისტიან ვიერი.

მათეუსი ბრაზილიურ კლუბს ხელმძღვანელობს

გერმანიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, „ოქროს ბურთის“ მფლობელი ლოთარ მათეუსი ბრაზილიურ საფეხბურთო კლუბ „ატლეტიკო პარანენსეს“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. კონტრაქტი 9-თვიანია და ძალაში შედის 1 თებერვლიდან. საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიმდინარეობის დროს კონტრაქტის მოქმედება დროებით შეჩერდება, რათა მათეუს პლანეტის უდიდეს საფეხბურთო ზეიმზე კომენტატორად მუშაობის საშუალება მიეცეს.

ნბა

გატეხილი ცხვირით...



გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. მეტად დაძაბული გამოდგა შეხვედრა „დენვერსა“ და „ფინიქსს“ შორის. გამარჯვებული მხოლოდ მესამე დამატებითმა დრომ გამოავლინა.

მესამე ოვერტაიმის დასრულებამდე 2 წუთითა და 42 წამით ადრე შონ მერიონმა „დენვერის“ ლიდერს კარმელო ენტონის სახეში ჩაარტყა ხელი და ცხვირი გაუტეხა, მაგრამ ამის მიუხედავად ენტონიმ მაინც გააგრძელა თამაში. ზუსტი სროლებით გამარჯვება მოუტანა „დენვერს“ — 139:137. სულ ენტონიმ 43 ქულა მოაგროვა და 11-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

რაც შეეხება „ფინიქსს“, ამ გუნდის შემადგენლობაში შედეგიანები იყვნენ: ბელი, მერიონი და ნეში, რომლებმაც შესაბამისად 30, 28 და 26 ქულა დააგროვეს.

„სან-ანტონიომ“ 96:91 სძლია „ნიუ-ჯერსის“, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თიმ დანკანს. ამ კალათბურთელმა 27 ქულა დააგროვა და 12-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

აუტსაიდერმა „შარლოტამ“ დამატებით დროში მოახერხა გამარჯვების მოპოვება საკუთარ მოედანზე „ჰიუსტონთან“ — 111:106.

„ატლანტა“ საკუთარ მოედანზე ორი ქულის სხვაობით — 94:98 დამარცხდა „ბოსტონთან“ შეხვედრაში. მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ზაზა ფაჩულია, რომელმაც 18 ქულა შესძინა „ატლანტას“.

სხვა შეხვედრები: „კლივლენდი“ — „ნიუ-იორკი“ 84:92, „მემფისი“ — „საკრამენტო“ 99:85, „ნიუ-ორლეანი“ — „დეტროიტი“ 86:96, „მილუოკი“ — „მინესოტა“ 95:92, „კლიპერსი“ — „ორლანდო“ 90:73.

გუშინ „ფილადელფიამ“ საკუთარ მოედანზე ვერ მოახერხა „იუტას“ დამარცხება — 102:110. მასპინძლებს ვერც ალენ აივერსონის გაბრწყინებამ უშველა, რომელმაც 46 ქულა მოაგროვა და 9 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ კი მორიგი მარცხი იწვნია, ამჯერად „ვაშინგტონთან“ 72:103.

კობი ბრაიანტმა 41 ქულა შესძინა „ლეიკერსს“ „პორტლენდთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისათვის — „ლეიკერსი“ დამარცხდა, 10 ქულის სხვაობით — 103:113.

„სიეტლმა“ საკუთარ მოედანზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა „ორლანდოსთან“. მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ლუისი, რომელმაც 45 ქულა დააგროვა.

გუშინდელი სხვა შეხვედრები: „ტორონტო“ — „შარლოტა“ 95:86, „ინდიანა“ — „მილუოკი“ 112:88, „ნიუ-იორკი“ — „დალასი“ 117:115 (ო.ტ.), „მინესოტა“ — „ჩიკაგო“ 99:93, „ჰიუსტონი“ — „საკრამენტო 80:88, „გოლდენ სტეიტი“ — „მაიამი“ 96:110.

აღმოსავლეთ კონფერენციის სატურნირო ცხრილის პირველი საფეხური მყარად უჭირავს „დეტროიტს“, რომელმაც 31 ჩატარებულ შეხვედრაში 26 გამარჯვება იზეიმა. 19-19 მოგება აქვთ „ნიუ-ჯერსისა“ და „კლივლენდს“. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას „ატლანტას“, იგი 10 გამარჯვებით ბოლოსწინა ადგილზეა.

დასავლეთ კონფერენციაში ერთპიროვნული ლიდერი „სან-ანტონიოა“, რომლის აქტივშია 26 გამარჯვება 33 შეხვედრაში, ორი მოგებით ნაკლები აქვს მეორე ადგილზე მყოფ „დალასს“. 21 გამარჯვებით მესამეზეა „მემფისი“.

მიხაელ შუმახერი ემზადება

„ფორმულა 1“-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი შარშანდელ სეზონში „ჩავარდნის“ შემდეგ მონდომებით ემზადება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ორიოდე დღის წინ, ესპანეთის ქალაქ ხერესში „ფერარის“ ძველ, 2005 წლის ბოლიდის საჭეს მიუჯდა, იმ ბოლიდისა, რომელსაც „ფერარის“ კონსტრუქტორებმა ახალი, სრულყოფილი ძრავა „მოარგეს“.

ტესტ-რბოლა მიხაელ შუმახერმა წარმატებით გაიარა და საუკეთესო დროც აჩვენა. მან ჟურნალისტებთან საუბარში კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ სეზონში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად იბრძოლებს.

იარნო ტრულიმ ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში ირბინა

ოლიმპიური ცეცხლი პესკარაში ჩაიტანეს, ეს კი „ფორმულა 1“-ის პილოტის იარნო ტრულის მშობლიური ქალაქია. მან მონაწილეობა მიიღო ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში და შემდეგ ჟურნალისტებს შთაბეჭდილება გაუზიარა.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მივიღე მონაწილეობა. სიამოვნებით გავადევნებ თვალს თვით ოლიმპიურ თამაშებსაც“, — თქვა იარნო ტრულიმ.

უკვე «განათესეს»

გუშინ ავსტრალიის ღია პირველობაზე მონაწილე ჩოგბურთელები ტურნირის ორგანიზატორებმა „განათესეს“. გაგაცნობთ, „განთესილთა“ პირველ ხუთეულებს:

ვაჟები: 1. ფედერერი (შვეიცარია), 2. როდიკი (აშშ), 3. ჰიუიტი (ავსტრალია), 4. ნალბანდიანი (არგენტინა), 5. დავიდენკო (რუსეთი).

ქალები: 1. დევენპორტი (აშშ), 2. კლიისტერსი (ბელგია), 3. მორესმო (საფრანგეთი), 4. შარაპოვა (რუსეთი), 5. პირსი (საფრანგეთი).

ვინ შეხვდება ვალუევს?

25 თებერვალს გაიმართება ორთაბრძოლა კრივში ბრტანეთის ჩემპიონის ტიტულისათვის. რინგზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან პროფესიონალი მოკრივეები დენი უილიამსი და მეტ სკელტონი.

ამის შესახებ, ლონდონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა პრომოუტერმა ფრენკ უორენმა, რომელიც ზემოთ აღნიშნული ბრძოლის ორგანიზატორია. მისი თქმით, გამარჯვებულ მოკრივეს მიეცემა საშუალება, შეხვდეს ვბა-ს ან ვბო-ს ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონებს.

„25 თებერვლის ორთაბრძოლა, პრაქტიკულად შერჩევით ხასიათს ატარებს. იმედი მაქვს, რომ წყვილში გამარჯვებული ზაფხულში ვბა-ს ჩემპიონს შეებრძოლება. ამასთან დაკავშირებით უკვე ვაწარმოებ მოლაპარაკებებს დონ კინგთან“, — ამბობს უორენი.ასე რომ, არ არის გამორიცხული, 25 თებერვალს გაირკვეს ვბა-ს ვერსიით ახალი ჩემპიონის ნიკოლაი ვალუევის მეტოქე. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ საჩემპიონ‹ო› ბრძოლების ჩატარების ლიცენზია დონ კინგს ეკუთვნის.

ზამთრის ოლიმპიადამდე 28 დღე დარჩა...

პირველი რეკორდი

ზამთრის მეოცე ოლიმპიადა ოფიციალურად 10 თებერვალს გაიხსნება ტურინში ახალ ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც აშენებულია ძველი საფეხბურთო მოედნის ადგილას.

უკვე დაფიქსირდა, თამაშების პირველი რეკორდი — სტადიონზე დგას ყველაზე მაღალი ჩირაღდანი ოლიმპიადების ისტორიაში, რომელზედაც ოლიმპიური ცეცხლი აინთება. მისი სიმაღლე 57 მეტრია. დიზაინერი კი გახლავთ იტალიელი პინინფარინი.

ფიგურული სრიალი უფრო აინტერესებთ

ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალი სპორტის სახეობებიდან იტალიაში ყველაზე მეტად ფიგურული სრიალი აინტერესებთ -— სწორედ ამ შეჯიბრებაზე დასასწრები ბილეთებია გაყიდული დიდი რაოდენობით — 86 პროცენტზე მეტი. შემდეგ მოდიან: ციგურებით რბენა — 82, სათხილამურო სპორტი — 71, ჰოკეი — 46, ციგაობა — 19 და ა. შ.

მედლების დამზადებაზე 873 კილოგრამი ძვირფასი ლითონი დაიხარჯა

ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულთათვის და პრიზიორთათვის სულ 1026 მედალია დამზადებული, პარაოლიმპიელებისათვის — 648. ამ მედლების დასამზადებლად 873 კილოგრამი ძვირფასი ლითონი გამოიყენეს, მათ შორის - 2 კილოგრამი ოქრო, 167 კგ ვერცხლი და 704 კგ ბრინჯაო.

თითოეული ჯილდოს დასამზადებლად სპეციალისტებს საშუალოდ 10 საათი დასჭირდათ.

მეტი მოინდომეს...

ცნობილია, რომ ოთხი წლის წინ, სოლტ-ლეიკ-სიტიში გამართულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩინელმა იანმა ისტორიაში პირველი ოქროს მედლები მოუტანა თავის ქვეყანას (საუბარია თეთრ ოლიმპიადებზე). იანი შორტ-ტრეკში ასპარეზობდა და ორი ოქროს მედალი მიიღო 500 და 1000 მეტრ დისტანციებზე.

ტურინში ჩინეთის ოლიმპიური დელეგაცია უფრო მეტ ოქროს მედალს გეგმავს, განსაკუთრებით, სათხილამურო სპორტში.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



13 იანვარი, პარასკევი

НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა“ (11.25), ჩოგბურთი. ატპ-ს საერთაშორისო ტურნირი ავსტრალიაში (12.30), ფრენბურთი. გადაცემა „ექსი-ექსზე“ (14.45), ატპ-ს საჩოგბურთო მიმოხილვა (15.15), ფიგურული სრიალი. კრი- სტი იამაგუჩის შოუ (15.45), ტაილანდური კრივი (17.50), „სპორტული გლობუსი“ (18.45), „ნოკაუტი“ (19.15), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ბოსტონი“ — „ლოსანჯელესი“ (20.00), ფრისტაილი (22.50), „ბურთი და ფარი“ (23.00). სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი (23.45), EUROSPORT. ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა (11.30), ციგურაობა. მსოფლიო თასის გათამაშება (12.00), სათხილამურო სპორტი. ტრამპლინიდან ხტომა (12.30), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი ავსტრალიაში (15.00), ბიატლონი. მსოფლიო თასის გათამაშება (17.30), რალი. დაკარის მე-13 ეტაპი (1.30), ექსტრემალური სპორტი (2.30).

14 იანვარი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია „მზე“. ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „მანჩესტერ სიტი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (16.45), „ტოტენჰემი“ — „ლივერპული“ (19.00), „ბლექბერნი“ — „ბოლტონი“ (21.15), НТВ плюс спорт. ფრისტაილი. მსოფლიო თასის გათამაშება გერმანიაში (11.25), „ნოკაუტი“ (11.55), სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშება იტალიაში (12.55), ფრენბურთი (15.45), ამერიკული ფეხბურთი (20.30), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „ინდიანა“ — „ვაშინგტონი“ (21.25), ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის მიმოხილვა (23.25), სათხილამურო სპორტი. ორჭიდი (23.55), EUROSPORT. რალი. დაკარის მე-13 ეტაპი (11.30), სათხილამურო სპორტი. ორჭიდი (12.00), ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი (12.30), სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. 15 კმ. თავისუფალი სტილი. ქალები (13.00), 30 კმ. ვაჟები (15.00), ბიატლონი (17.15), ბობსლეი (20.45), ფიგურული სრიალი საჩვენებელი გამოსვლა გერმანიაში (23.30), რალი. დაკარის მე-14 ეტაპი (1.30), ექსტრემალური სპორტი (2.00).

15 იანვარი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. „მზე“. ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ბლექბერნი“ — „ბოლტონი“ (18.10 გამეორებით). НТВ плюс спорт. ამერიკული ფეხბურთი (11.25), სათხილამურო სპორტი (13.25), ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის მიმოხილვა (14.40), სათხილამურო სპორტი მსოფლიო თასის გათამაშება. რეპორტაჟი იტალიიდან (15.10), „ბურთი და ფარი“ (19.00), „დიდი რინგი“ (20.00), სამთო-სათხილამურო სპორტი (22.30), „სპორტული გლობუსი“ (0.30), ამერიკული ფეხბურთი (1.30), EUROSPORT. რალი. დაკარის მე-14 ეტაპი (11.30), ციგაობა. მსოფლიო თასის გათამაშება ავსტრიაში (12.00), სათხილამურო სპორტი (12.30), ბიატლონი (17.30), ბობსლეი (18.15), რალი. დაკარის მე-15 ეტაპი (1.30), ოლიმპიური თამაშები. მიზანი — ტურინი (2.00), კრივი (2.30), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (4.00).

კროსვორდი

თარაზულად: 4. კოლუმბიელი ფეხბურთელი მს. ჩემპიონატის (1998) მონაწილე, თავდამსხმელი, ფაუსტინო... 9. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, კაპიტნობდა სსრ კავშირის ნაკრებს, 12. ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსაცავი, 13. კრივსა და ფარიკაობაში სავარჯიშო ბრძოლა, 14. გრძელ მანძილზე მორბენალი, 17. აშშ-ის ჩოგბურთელი ქალი, უიმბლდონის გამარჯვებული 1948, 1950, 1955 წლებში, 18. საფეხბ. სტადიონი და სკოლა თბილისში (ვაკე), 20. ფორმულა 1-ის გუნდი, 22. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპორტული გუნდი (შემოკლებით), 24. წარსულში მსოფლიოს ორგზის №1 ჩოგანი ვაჟთა შორის, აშშ-ის ჩოგბურთელი, 25. ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი (1952), 27. ბილიარდის ინვენტარი, 28. ქართველი სამთომეთხილამურე, ოლიმპიადის მონაწილე, ზურაბ... 29. ოჩამჩირის ყოფილი საფეხბ. გუნდი.

შვეულად: 1. თოვლზე სრიალით მავალი ერთგვარი მანქანა, 2. მეხიკოს ცნობილი სტადიონი, 3. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 5. ლეგენდარული ვეტერანი იაპონელი ძიუდოისტი, 5. ლეგენდარული ვეტერანი იაპონელი ძიუდოისტი, 6. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი — მეკარე, 7. ოლ. ჩემპიონი (1972) სროლაში, კდრ-იდან, 8. ავსტრიის საფეხბ. კლუბი, 10. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 11. საპატიო ჯილდო ხელოვნებისა და ჭადრაკის კორიფეებისთვის, 15. სკანდალებით ცნობილი ფრანგი ვეტერანი ფეხბურთელი. 16. ფორმულა 1-ის ლეგენდარული მრბოლი, ალენ... 19. მადრიდის საფეხბ. კლუბი, 21. ლეგენდარული ვეტერანი უნგრელი წყალბურთელი, ლასლო... 22. საერთაშორისო ოლ. კომიტეტი (შემოკლებით), 23. „ლივერპულის“ ყოფილი მწვრთნელი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. გონგი, 6. „ოსერი“, 9. ბალაკინი, 10. „რეალი“, 11. არენა, 12. შურდული, 13. ევრა, 14. პია, 18. ებანოიძე, 19. კორნერი, 20. ელო, 22. შაშო, 23. სტაიერი, 24. „ვერდერი“, 27. დვირი, 29. ბელოვი, 30. დრიბლინგი, 31. ტაიჭი, 32. აუე.

შვეულად: 1. გორგაძე, 2. გოლოვინა, 3. კაფუ, 4. საიდა, 5. ვიალი, 7. სარმა, 8. რინგი, 12. შალიბაშვილი, 14. პროსტი, 15. კალაძე, 16. ტელევიზია, 17. სინი, 21. ონილი, 25. „რიდი“, 26. რობი, 27. დინო, 28. იაძე, 29. ბრუ.

საჭადრაკო ამოცანა

„დოიცე შახცაიტუნგ“

(1958 წ.)



შამათი 3 სვლაში

№1-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლg3!!

1. ...... ეd5 2. ლg6 მფe5 3. ლf6X

1. ...... ე... 2. ლd6+ მფf5 3. ლf6X

1. ...... მფd5 2. ლb3+ მფd4 3. e3X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com